

6990

F 75
1915

העיתון

למנוחה ולעבודה
בארץ ובחוץ



1915



0 2 6 3 3 6 0 No 1.

ქართული
ენციკლოპედია




ა კ ა კ ი.
1840 — 1915



ს ა რ ჩ ე კ ი .



I—აჭაკის სურათი	1
II—იგლოვეთ, —(ღექსი) ვ. გორგაძისა	3
III—უკანასკნელი ბასილა, —ტყეაძისა	5
IV—ზამთრის პირი, —ღექსი ვ. გ—სა,	19
V—სიხარულა, —ზღაპარი გიგო ხათაძისა	21
VI—დედის საფლავზე, —მიმჭრადისა	30
VII—როგორ ვაჩუქე მაცხოვარს ჩემი სავარეო ხალაოთი (თარგმ.) :ღ. შათაიშვილისა	33
VIII—ალვის ხე და ტირიფი, (იგაფა ღექსად) ი. სიხარულაძისა	39
IX—დიდებული აჭაკის ხსოვნას, —ი. ანთაძისა	43
X—ასსირიელები თბილისში, —ი. ა.	49
XI—ბრძოლა იდამიანისა ბუნებასთან: რკინის გზები, — (წერილი შეშვიდე), ივ. როსტომიშვილისა	52
XII—მეურნეობა, —გაკლოშვილისა	59
XIII—გასართობი: გამოცანები და რებუსი	63



ტფილისი, ელექ.-შეკლ. ა. კერესელიძისა, გაბაშვილის შესახ, № 1.



ქართველი
წიგნების კავშირი

იგლოვეთ!

(სულმხათ აკაკის ხსოვნას).



წუხრის ზეწარით მოირთო
მწვერვალნი მალალ მთებისა...

ზარს დაჰკრეს! და შორს გაისმა
ხმა გლოვის, მწუხარებისა!..

კენესით ათრთოდნენ სიმები
ძაბით შემოსილ ქნარისა...
ოხვრით დაეცა ფურცელზე
ტრემლი ნარგიზის მკნარისა!

დასკნა სიცოცხლე—აღსაეს
შვენებით, სილამაზითა...
დადუმა ბაგე—მეტყველი
ხმებით ციურით, ნაზითა!..

აღარ გვყავს ჩვენი აკაკი...
ერის ღიღება, სახელი...
უწალო ბედმა ჩავვიტრო
შუქ მოელვარე კანდელი!

აღარ გვყავს!.. შავრამ მის ბსოვნა
სამარადისოდ დარჩება!..

296






ქართული
ენების მეცნიერებათა
აკადემია

ვინც ქვეყნად სახელს იხვეჭავს,
იგი არას დროს არ კვდება!

მომავლის ნორჩნო ყვავილნო,
ყრმებო, სწორებო სულისა,
იგლოვ-იტირეთ აღმზრდელი
თქვენი გონება—გულისა!..

იგლოვეთ ჩვენი სამშობლოს
ვარსკვლავი მანათობელი...
ერის დიდება, საუნჯე,
ჩვენი მამა და მშობელი!..

3. გორგაძე.





უკანასკნელი ბასილა.



ღარ შემიძლია ამაზე მეტი მოთმენა. გამიშვით, გამიშვით—მეთქი, რომ დროით სადმე გადავიკარგო; აქ რალა დამაყენებს, თქვენი ღირიმე? — ასე გაისმა შუალამისას ბნელ თაროზე ვილასიკ განრისხებული

ბული ხმა და თან პირქვე დაშობილ ჭაშანურ ჯამებს ვილაცამ ლაწა-ლუწი აუყენა.

ახლა-კი იდროვა ბასილამ: როცა ყველას ჩაეძინა და სანათის ჩაქრობის შემდეგ ძველ დარბაზში სიბნელე დამყარდა, მას უცებ ერთი ისეთი გული მოეცა და თაროზე ისეთი აზნაურშვილური სიამაყით გადმოდგა, გეგონებოდათ—ეს ძრის და მთელი ქვეყანაო.

— აი, დედი ჩემის ღმერთსა! წავიდა განა ჩემი დრო, რომ აბლაბუდით საესე კუნჭულში პირ-მომტვრეულ ზეთის ბოთლის უკან ამაყუდეთ და ერთი ყვითელი სანთელიც-კი აღარ მაღირსეთ! აბაი, ბერო! შენც რომ ყურადღება აღარ მომაქციე? შემწვარ ვაშლივით რომ დაგპრანქვია ეგ ცხვირპირი, ვითომ შენც მარაქაში გაეროე, ჰა?! დამაცა ჯერა!..

ასე ბრაზობდა ბასილა და იმ სიბნელეში ჩამიჩის თვლებს ისე აბრიალებდა, რომ ძირს, ტახტზე საცოდავად მო-



ბლუნძულ ბებერს რომ დაენახა, ნამდვილად სული გასტეხილადებოდა. მაგრამ ბებერი აბა რას გაიგებდა. იმ ღამეს წილის წვენიტ გახლდით ნავაზში და ის ოხრად დასარჩენი სიმთავრემის უძლოურ გულ-მუცელს ისენაირად მოსდებოდა და ისე ახიხინებდა, გვეგონებოდათ ახალწლის ღამე-კი არა-გაზაფხულია და მრავალმხრივ ფრინველების გალობა ისმისო.

— აი, შენა და ხმის ჩაწყვეტა: ხრინწიანი მამალივით რალსაც ხავი. არა, შე ქოფაკო შენა, დაგავიწყდა, რომ ამ ორი წლის წინად აი, ამ ჩემ ნიგვზის ქიასაც-კი მთელ ქვეყანას ავედრებდი, და დღეს-კი პაწია ლექსოს თხოვნით ძლივს რომ გამომატხე, ვითომ რაო: წრეულს ნეტა რა დიდება მოგერთვა? „ბასილა, შეილო, აღარაეინ იცისო.“ ვაი ჩვენი ბრალიც. ეგეც შეიგნე, შიმშილისაგან ცხვირი წერაქვივით რომ გაგვრძელდება? ვაჰმე ერთი!..

აქ გაბრაზებით ბასილამ სიბნელეში ბებერს მუშტიც-კი მოუღერა, მაგრამ იგრძნო, რომ მისი მუქარა არაფერს არ გააწყობდა და უცებ მორბილდა, ხმაც დაუდაბლა და აცრემლებულმა განაგრძო:— მაშ ეგრე? წავიდა, განა, ჩემი დროც? ახლა-კი ვიცი, კარგად ვგრძნობ, რომ უკანასკნელია ჩემი აქ ყოფნა, ჩემი უფლება... აი, ეს უკანასკნელი ქვარტლიანი ქერები-ღა იცავენ ჩემ ხსენებას, ეს უკანასკნელი მიწური დარბაზი ჰფარველობს დღეს ჩემ სიცოცხლეს, თორემ, აბა, გადით გარედ და ნახავთ... ყველას, ვისაც-კი კარ-ფანჯარიანი ქვითკირის სახლი წამოუკიშავს, იქ ჩემ ხსენებას აღარაეინ კადრულობს... თორემ, ბებერი განა ტყუოდა, ბასილა არაეინ იცისო... მართალია, მართალი.

აქ ბასილას უმაღ ხმა ჩაუწყდა და ახლა-კი ტირილსაც მოჰყვა. მართლაცა და გულ-მოსაკლავი როგორ არ იყო: წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს, დიდი თუ პატარა, იმისი სახელით ახალ-წელს იყენებდა, იმას აქებდა და აღიდებდა და ახლა-კი უკზო-უკველოდ უნდა სამუდამოდ დაკარგულიყო ისიცა და იმის ხსენებაც.



ნეტავი ისე ძლიერ მაინც არა ჰყვარებოდა, ლამეს თაროზე რომ შავად შერუყულ უცხვირ-პირო ხატთან ბატონოვით გამოსქიმავენ და წინ ჩამომწყკრივებულ და ალაპლაპებულ ყვითელ სანთლის შუქზე დიდი თუ პატარა წმინდა ვასილს ევედრებოდნენ. იმას ეგონა—მე შემევედრებიანო, და ეს არის მთელი ქვეყანას ხსნასა და შველას მე მივანიჭებო. ისინი რომ დაღადებდნენ, ბასილა შორიდან შედიღურად იტკირებოდა და გულში ვინ იცის რას არ ჰპირდებოდა. ცოტა შარშან იმ კუდიანმა ელისომ ბრაზზე მოიყვანა, თორემ სხვაფრივ რა უქირდა? ისიც იმისი ბრალი ხომ არ იყო. გოგომ სანთლის შუქზე მართლა შენიშნა, რომ ბასილას ნიგეზის ცხვირი დაჰკარგოდა და ცალი ფეხიც თაგვს მოელრღნა, და სწორედ იმ დროს, როცა დიდება ტუტუნით და ერთი ამბით მუხლს იყრიდა, ელისომ ბასილას თვალი მოჰკრა თუ არა, უცებ ისეთნაირად შესძახა:—არიქა, ბასილას ცხვირი ჩუბში დაჰკარგვია და კიდევ დაგკოქლღბიაო!—რომ ხელაპყრობილი ბებერი შიშისაგან თვალეზ-დაჰყეტილი-და დარჩა. ის-კი ძალზე კისკისებდა და კარების ურდულს ეჯაჯგურებოდა, რომ გარედ გავარდნილიყო და ქვეყანა შეეყარა. ახლა რა იყო იქ დასაცინი? უცხვირო და უფეხო განა არსად არ უნახავთ? მაშ ყველა მასბარად უნდა აიგდოთ, ჰა?!—ეჰ, ეგ ბავშვია, მაგას ყველა მიეტყვებო, —იფიქრა მაშინვე ბასილამ; მაგრამ იმ გონების გადაჭრილს ოხერი გული ხომ არ ეთანხმებოდა! ოჰ, ძლიერა სწყინდა და ძლიერ გულსაც აკლდა. თუმცა მეორე წელიწადს არაფერი აღარ ახსოვდა, მით უმეტეს, რომ ელისოს მამა ახალწლის ღამეს ავად იყო და თვითონ ის ქალბატონი ჩუმიად ცრემლ-ძორეული ისე ავედრებდა, რომ ბასილა მზად იყო შიგ გულში მასძრომოდა და გულ-ახდილად ეთქვა: „შენი პაწაწინა, თავის პირიმე, მაგ შშვენეიერ ცრემლებს ტყულიად ნუ აფრქვევ, მე არაფერი არ შემიძლიანო“...

ჰო, სწორედ მაშინ ის დრო იყო, რომ ბასილას მეტი



გრძნობით უცებ ფეხი გაუსხლტა და იქვე მდგომარეობაში
ჯამში ხელი-კი წაჰყო. მაგრამ განა მარტო ის ეამი ახსოვს!
ვინ მოსთვლის. უწინდელ დროში მის პატივისცემას და მის
განცხრომას. ახლა-კი...

ამ ფიქრზე ბასილამ ბოლმისაგან აფრიალებულ გულზე
ხელი მიიღო და ისე წამოჰქვითინდა, რომ იმის ცოდვით ქვეც
კი ატირდებოდა.

— მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო საყვარელო შავო ჰე-
რბო. ისე მიყვარდი, შენ ქვეშ თავს ისე ძლიერად ვგრძნო-
ბდი, ასე შევონა უკვდავი და ქვეყნის ბრძანებელი მე ვიყავი...
მაგრამ აგერ ის შეჩვენებული ბებერი თურმე მე არ შემომძა-
ხოდა „იყო და არა იყორა-ო,“ ვითომ ბავშვებს ზღაპარს
ეუბნებოდა და თურმე მე-კი მასმენდა... და აბა მე რა ვიცო-
დი, რას მიფხვდებოდი, რომ ჩემი მოსპობა შეიძლებოდა. გა-
ნა იმიტომ დავიბადე, რომ მოვსპობილიყავ? მაგრამ სანამ ეგე-
ნი თავის გულის წადილს შეისრულებდნენ, მე ვაჩვენებ მა-
გათ— ჩემი მოსპობა როგორც შეიძლება... მე-კი ნუ მეხუმ-
რებიან: დამაცადონ ჯერა...

აქ ბასილამ თაროდან უშალ ისკუბა, ძირს ჩამოხტა და
კარებისაკენ გასწია.

— აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს, ცოტაოდენი მეც
დამიცადე!— უცებ ვილასიც გაპარებული ხმა მოესმა ბასილას;
ერთი წამით შესდგა, უკან მოიხედა და დაინახა, რომ ოჩო-
ფება ზედადგარი ბასილას ვაი-ვაგლაზით დასდევნებოდა და
დაკავებული ხმით ემუდარებოდა:— შენ თავშემოგველე, მეც
წამიყვანე. მეც აი რამდენი ხანია შენ ტაფაში ვიწვი და კი
ვერა მომიხერხებიარა. რამდენი ხანია ვეწასხურე და ახლა და-
უძლოურებულს ხან სად მიმაგდებენ და ხან სად. საცაა სანა-
გვეთაც გამხდიან, და, შენი კოხტა მუხლების კირიმე, მეც მა-
სწავლე თავი როგორ დავახწიო.

სანამ ბასილა ზედადგარს პასუხს მისცემდა, ჩამოზნეღე-



ბულ დარბაზში უცებ ისეთი ჩოჩქოლი შეიქნა, რომ ზღაპრულად მოდებულ ბასილას ეგონა—ჩემი რიხით მთელი ქვეყანა შეინძრაო. ერთი მხრიდან ძირ-გაბზარული ქვაბ-ქოთანა, როგორც ხონთქარი, თახჩიდან ისეთი ხმაურობით და ქშიტინით დაიძრა. ტახტის ქვეშედან ობ-მოკიდებული ხელადა გამოძვრა; ხონჩაზე ციცხვი არაკუნებდა; დაბრეცილ ფილთაქვას გვერდით ამოუდგა და ყველანი კარებთან ბასილას ვარშემოცხვივნენ.

— არა, ერთი შემოშხედე, ღმერთი გადღეგრძელებს,— მისვლის უმაღლეს ქაქანით მოჰყვა ქვაბ-ქოთანა:—განა მე ის დაეიშახურე, რომ ის ქუსლ-წალრეცილი მაგდანა, აქაო და გაბზარულიაო, ხან ბუშბულით მივსებს გულ-მუცელს და ხან ნაგვიან ნაკმაზით მაბინძურებს? რაკი ახლა წითელი რუსული ქვაბები შემოვიდა, ახლა მე აღარ ვარგევარ, ჰა?! მაგრამ რასაც შენა ბრძანებდი, ყოველივე მართალია, და რაკი გულის ხმაში შენ ჩავგავდე, აი, გაგვიგეს, და თუ გინდა ჯანდაბას ვადაგვკარგე, ოღონდ ამდენ დამცირებას აგვაშორე.

— რაკი ჩვენი დრო წასულა, სულ რომ ერთ დღეს გაეწყდეთ—ის გვირჩევენია. დეე ჩემიანობა იმ ხრინწიანმა გრამაფონმა გაუწიოთ, მე-კი ამის შემდეგ ერთ წამს აღარ ვიცოცხლებ,—ჩაიდუდუნა ორ-სიმიანმა, უშნოდ გაფორტნილმა ჩანგურმა და ობლად მომდგარი ცრემლი ჩოხის კალთით ჩამოიწმინდა.

ახლა ხელადა წამოდგა. ონავარმა ჯერ ყველას თითო მუჯლუგუნი უთავაზა, განზე გასწია, თვითონ წინ წამოიბქვიტა და წამოწითლებული თვალეებით ამ საჩივრით მიმართა:—ამათაც ვეუბნებოდი—რალად მინდა-მეთქი ეს ძალლი წუთისოფელი, თუ, ამდენი შეურაცყოფის და მოსპობის მუქარასაც კი გავიგონებდი. სანამ ბებერი აგორა ცოცხალი იყო, აპურით ზედ ვეკიდე; ორივე თვალეებით ბრმა იყო საცოდავი, და აგერ აი ტახტთან ქოცო რომ გლია, ერთს ჩამარაკრაკებდა



შიგ, მერე ტუჩზე მიწებებდა და, მოიჯერებდა გულს თუ არა, აი, ზედ ამ ტუჩზე სიამოვნებით მკოცნიდა. ჩანჩხურასავით წელზე ჩამომიკიდებდა და ვიყავ დღე-ღამ იმის განუშორებელ მეგობრად. ახლა-კი ხედავთ... რა მომივიდა ..

აქ-კი ყველა ახმაურდა, ყველას ახლა გაახსენდა თავისი უბედურება და ისეთი ჩივილი და შეისევანი ასტეხეს, რომ გულ-მოცემულმა ბასილამ ძლივს გააჩუმა:

— ჩემად იყავით, რა გაყვირებთ. აგერ, იმ კუდიანმა ბებერმა გაიჩუჩუნა... სუ... სუთ... სუ...

ბებრის გახსენებაზე ყველამ შიშით უკან მიიხედა და უმაღლესე გატვრინდნენ, თითქოს წიწილებს ქორბა ჩამოუქროლაო. ბასილა კანკალით ფილს ამოეფარა, გვერდიდან აქეთ-იქით გაიხედა და რაკი დარწმუნდა, რომ საშიშო არა იყო-რა, წელში გასწორდა და ყველას ამაყად ასე მიმართა:

— თქვენ-კი რა მოგახსენოთ, მაგრამ მე-კი ერთი წამითაც აქ დამდგომი არა ვარ; მე შორს მივდივარ, ჩემ საბრძანებელს თვითონ მოეძებნი და ვნახოთ—ჩემი სახლის გაწყვეტა მართლა შესაძლებელია თუ არა. არა, ამდენი ხანი განა იმისთვის ებატონობდი, რომ ახლა მოვისხო? ეგ ტყუილია, ეგ სულ ამათი მოგონილია, და ვნახოთ—დაუმტკიცებ თუ არა, რომ ჩემი სახლი და თვით მე უკვდავი ვარ... რახან ეგრეა, ვისაც სიცოცხლე და თავი გიყვართ, თქვენც უკან მომყევით: მე გზას გასწავლით, და ამათ-კი დამაცადონ...

ბასილამ უკანასკნელად ბებერს კიდევ მუშტი მოუღერა: შემდეგ კარები გააღო და გასწია. ფილი, ფილთაქვა, ზედადგარი, ხელადა და სხვები უკან აშალასავით დაედევნენ. ღვთის წყალობა მაქვს, რომ იმათ სიხარულით კუდი ამოიძუეს, მაგრამ დახე უბედურებას: დერეფნიდან კარ-მიდამოზე გაპყვეს თავები თუ არა, უცებ წინ დიდი ფიჩხის ცოცხით ვილაცხა გადაეღობათ და ისეთი წამოუტია, რომ საწყლებს შიშისაგან



სულ დავთრები დაუბნია. გაბზარულ ქვაბ-ქოთანას მწკრივს მწარით მუცელი ნახევრამდინ შეერღვია.

— სად მიხვალთ, სადა? იქნებ მე აღარაფრად აღარ მაგდებთ, რომ ვგრე თავისუფლად მიტუსტუსებთ?— ასე დასკვივლა მან და გავარვარებულ მთვარის შუქზე ამაყად გამოიქიმა.

— ჰა, მიცანით, ვინცა ვარ?— გაიმეორა მან და ღოინჯ-შემოყრით ჩიბუხი კოხტად გამოაბოლა. აბა რას არ იცნობდნენ მის ბრწყინვალეობას? ერთი ისეთი უშველებელი წამომდგარიყო, ღმერთმანი, რომ ნამდვილი მხარ-ბეკიანი ვაჟკაცი იყო. მერე ის ოხერი ჩამოფხრეწილი კარტუზიანი ჭუდი რა ძლიერ უზდებოდა! წელზე ქამრის მაგიერ მაგდანას ქობის წინახვევი შემოეჭირათ, ხელში დიდი ფიჩხის ცოცხი მიეცათ, და აი ამგვარად მორთული მთვარის შუქზე ისე პრიადებდა, იტყოდით— თოვლის კაცი-კი არა, ოქრო-ვერცხლით ასხმული რაინდიო. ბასილას თოვლის 'კაცისა თუმცა ძლიერ შეეშინდა, მაგრამ მასთან ხმის გაცემა-კი არ იკადრა. ის განზე გადაგა, სათონის ბოძს ამოეფარა და ცოტა ხნით დაიცადა...

— არ გესმით, თქვენა? სად მიდიოდით— მეთქი? მიპასუხეთ, თორემ, თუ ეს ცოცხი წომოგიტიალეთ, ღვთის წყალობა მქონდეს, რომ მე თქვენ ნაქარტუტა ავადინოთ, — გაიმეორა მან და ჩიბუხი ისევ გააბოლა. აქ-კი ციცივმა ველარ მოითმინა, წინ წამოიქრა და გაბედულად უპასუხა:

— სად მივდივართ, და ჯანდაბასა და ამოწყვეტაში. აბლა ჩვენ თურმე აღარ ვარგვიართ. ზოგს სანაგვეზე გადაყრის გვიპირებენ, ზოგს ცეცხლში დაწვას და ზოგს რას. ეგენი მუდამ ახალწელს იყენენ და ჩვენ-კი მოსპობას გვემუქრებიან. მაგრამ მაგათზე ძლიერ ჩვენც გვინდა, რომ ვიყოთ, მუდამ ვიცოცხლოთ, მზესა და მთვარეს ჩვენც ვუცქიროთ. ამას ჩვენ დიდი ხანია კარგადა ვგრძნობდით, მაგრამ ხმა-ჩაწყვეტილები ვიყავით, რადგან არ ვიცოდით— რა უნდა გვექნა. ახლა,



ღმერთმა აღდგურებლოს ჩვენი ბასილა, მაგან ჩავეგვდოს უსულის ხმაში, დასახსნელი გზაც მაგან გვაჩვენა, და ჩვენდასწრეს დეც მივდივართ, მივეშურებით მისთვის, რომ ვანემ შემოდგომაზე საძირკველი კიდეც ჩაყარა და აბა ახალ სახლში მერე ჩვენ ვილა გვიკადრებს. მაშ თუ კაცი ხარ, და ქულიცა გზურაეს, გზა გვიყავ და ნულარ გვაგვიანებ: ხომ იცი—შორს მივესწრაფებით.

— ჰო, ჰო, აგრემც ღმერთი დიდ დღეს მოგცემს: ჩამოგვეცალე, რომ განთიადმა არ მოგვასწროს, თორემ სულ წშინდად დავიღუპებით,—ერთხმად ყველა შევედრა, ვარდა ზასილასი, რომელიც, კუთხეს ამოფარებული, მეტი სიბრაზით თუშცა კბილებს ლაგამ-გაყრილი ცხენივით აკრაქუნებდა, მაგრამ ხმას-კი მაინც ვერ იღებდა.

თოვლის კაცმა ცივად ჩაიკინა, გასაპარად გამზადებულ ციცხვს ხელი მოსჭიდა, თოვლით დაგებულ ქვის ზროვანზე შეაყენა და დანარჩენთ ასე უბრძანა:—ციც! თქვენ მანდედან ფეხი არ დასძრათ. ჯერ ამ ქალბატონს ყური დაუგდეთ, კარგად გაიგეთ, რასაც ახლა ეს თავისი პირით აღიარებს და მერე საითაც გნებადეთ—იქით მიბძანდით.

მეტი რა ძალა ჰქონდათ—ყველამ უმაღ ხმა გატვრინეს და ქვაზე აწოწლოკინავებულ ციცხვს მიაჩერდნენ.

— აბა, რასაცა გკითხავ—კარგად მიპასუხე, და მე ვიცი და თქვენმა გასტუმრებამ. მოკლე გზას რომ გასწავლით და სოფლის ბოლომდინაც გაგაცილებთ: აბა, ზემოდ გაიხედე და რასაც-კი თვალით დაინახავ, ყოველივე დაწვრილებით ამიწერე. მოჰყე, ჩქარა!

ციცხვმა შეხედა და გააკანკალა. მას თითქოს უცებ რაღაცა მოაგონდა, ისედაც გაწოწლოკინავებული უარესად გაიძაგრა და მერე ქადაგივით ასე მოჰყვა:

— რას უნდა ვხედავდე? თივის ბულულივით კობტად წამოდგმულ მალაღ მთას თეთრი სამოსელი წამოუსხამს და



ლორჯე, მოკამკამე ცის სიღრმიდან ბროლივით გამოიწივს, ალაგ-ალაგ ისე ბრჭყვინავს, თითქოს გულ-მკერდის ნაპირებზე ბით ჰქონდეს მოქარგული. აგერ კიდევ რას ეხედავ: აღმოსავლეთით შუბის წვერის მანძილზე შუქურ-იარსკვლავი კიდევ ამოცურებულია და მთის მწვერვალის პირდაპირ ციმციმებს, თვალებს ჩახუქავს და შემდეგ ისე გაბრწყინდება და ელვარებს, თითქოს ცეცხლი წაეკიდაო.

ციცხვი აქ გაჩერდა, უნდოდა ხმა აღარ ამოეღო, მაგრამ თოვლის კაცმა ჩიბუხი ხელზე წამოიბერტყა და დინჯად მიმართა:—პო, მერე, მერე? რალს გაჩერდი? შენ არა თქვი—გვეჩქარებო; აბა მაშ ჩქარა, რად აგვიანებ?

— მერე ისა რომ,—ხელმეორედ მოჰყვა ციცხვი ისევ: კანკალით, —ხვეის პირად, იქ, სადაც მთისავე ჩრდილი ეწეპივით შორს გაწოლილა, ხე სდგას... მგონი წიფელია... იმასაც აღმასებით ნაკერი თეთრი ჩადრი წამოუსხამს და ისე სდგას, თითქოს დიდხან ვიღასაც ელოდებო. ერთი ტოტი გვერდით წასულა და ხვეს ჩასკქერია... მეორე-კი... მაგრამ, ღმერთი არა გაქვს, ჩამომეხსენ: მე ველარაფერს ვერ გეტყვი... სიზმარში მგონია ჩემი თავი... შენ ხომ არ გინდა, რომ ქვეზე შევეცდე?—ბუზღუნით დაათვა ციცხვმა და წამოწრიბინდა.

თოვლის კაცი ცოცხით ხელში უფრო მიუახლოვდა და ღიმილით ჩაეკითხა:

— ერთი მითხარ—რა გატირებს? შენ რაა, რომ ის ხე იქ იდგეს, ცალი ტოტი რომ ხვეს დესჩერებოდეს? შენ ისა-სთქვი და გაათავე, მეორე ტოტი საითკენ არის აღმართული!

— მე ველარ ვიტყვი, ჩამომეცალე... მეშინიან... შენ ჯადოქარი ყოფილხარ ნამდვილი... ტირილს უფრო მოუშატა ციცხვმა, მაგრამ ახლა იმ ტირილში სულ სხვა რაღაც იხატებოდა. მას თითქოს რიღასიც ეშინოდა და მასთან ერთად რაღაც სიხარულსაც გრძნობდა.

— თქვი, თორემ, თუ დიღამდე აქ გაგაჩერეთ, ქვეყანა-



თავს დაგებვევით და თქვენზე მთელ სოფელში ისეაღიშნა, რომ
 შოთქმა შეიქნება, რომ იქნებ სირცხვილით თავებს ველარ
 აჩენდეთ. აბა, ახლა ისა სთქვი—მეორე ტოტი რანაირია?...—
 აღარ ეშვებოდა თოვლის კაცი.

— რანაირია და მოქრილია. ცომის გუნდასავით რგვლად
 თოვლი ზედ დასდებია... მაგრამ ახლა-კი ყველაფერი ვიცი,
 ყველაფერს მივხედი, გამოვერკვიე. აი შე უშნო, შენა!—აქ
 ციცივი უშალ გამზიარულდა და კუნტრ-უშსაც-კი მოჰყვა.
 აქამომდე ხმა-ჩაწყვეტილ ამალსაც ციცივის სიცილზე გული-
 დან ერთ წამს ლოდივით რაღაც მოშორდათ. ისინიც სიცილს
 მოჰყვნენ, თუმცა ჯერ არ იცოდნენ, ჯერ არ ესმოდათ, ცი-
 ცივი რასაც ამბობდა.

ციცივი-კი სიხარულით ერთ ალაგას აღარა დგებოდა;
 უკანასკნელი სიტყვების შემდეგ ის უფრო მალლა ავიდა, აქეთ-
 იქით გაიხედა და ყველაფერი კარგად რომ დაათვალიერა, ჩა-
 უკითხავად მოჰყვა.

— ჰო, ჰო, აკი გითხარით—ის წიფელია. ყური დამი-
 გდეთ და გებჭეწებით—სიზმრის ბოდვაში ნუ ჩამომართმევთ...
 ღმერთს გეფიცებით ის წიფელი—ჩემი დედაა, ჩემი კობტა, ლა-
 მაზი დედა. ოდესღაც, დაპიჯერეთ, მაგის ღვიძლი შვილი ვიყავ.
 ტან-წერწეტა, ცოტა ზეცისაკენ შეტყუორცილი, ღლისით მზის
 აღერსს უნდებოდი და ღამე-კი აგერ, აიმ ვარსკვლავის მო-
 წყვეტას ვესწრაფებოდი. ძლიერ მინდოდა, ძლიერ მსურდა,
 რომ გულზე მიმეკრა და მთელი ქვეყანა ისე დამემშვენები-
 ნა... მოიცა, მათქმევინეთ, თქვენი ქირიმეთ... ჰო, ჰო, ყვე-
 ლაფერი მაგონდება, კარგად მახსოვს, რომ შუა ზაფხულში,
 განთიადზე რომ ნისლი თხელ კაბით მომრთავდა და შემდეგ
 მზის ამოსვლისას მარგალიტებად ზედ მადნებოდა, ძლიერ ბედ-
 ნიერად ვგრძნობდი თავს და უნდა გენახათ—მაშინ რა რიგ
 ვმღერდი. ყოველი ჩემი ფოთოლით ვმღერდი, რადგან გარშე-
 მო მზის ამოსვლისას მთელი ქვეყანა მრავალ სახით მეხატე-



ბოდა და მიხაროდა. მაგრამ ერთ ზაფხულის ცხელ დღეს ამ ჩვენმა ნაცნობმა მაგდანამ გასაქცევად საქმე რომ გავციხა-
და, მაგ მაგდანამ თავის ქმარს სოფლიდან ჯერი ამოუტანა, სუფრა იმ წიფლის ჩრდილოში გაშალა და თავშალის წვერის ფრიალით ყანაში მოჰუშავე ქმარს გადასძახა:

— ჰაი, ვანე, ვანე. ამოდი, კაცო, თორემ შექამანდი ვა-
გიცივდებაო. ცოტახნის შემდეგ ჯერ რაღაც ჩხაკუნის შემო-
მესმა; გავიხედე და დავიინახე, რომ ვანე მხარზე გადებულ
ცელს მოალაპლაპებდა და წითელ პერანგის ამბრა სათითებებს
აჩხაკუნებდა. მოგვიახლოვდა, თავზე წაქრული თავშალი იქვე
ჯაგზე მიიჭინა, ხელი წაიბანა და ქერის პურს ისე წაეტანა,
კოლისთვის ზედ არ შეუხვდია. წინ ჩაცუცქულმა მაგდანამ
პირ-მოცვეთილ ხის კოვზს ხელი წააელო, ქოთანში ჩაჰყო,
შექამანდი ამოურია და ქმარს საყვედურით მიმართა:

— რა არის, კაცო, აბა დახედე, თითები სულ საქმელში
გიყვია; ერთი ციცხვის გამოქრა როგორ ვავიძნელდარ? ვა-
ნემ მადიანი ლუკმა ყბაში აქეთ-იქით მიადგო, გადაყლაპა და
მერე ცოლს ზემოდ ჩემზე უჩვენა.

— ზედავ აიმ ტოტს? ისეთია, ქრისტეს მადლმა, როგორც
ლარი. ჯერ მოვიცალო; მანდედან ერთი კაი თოხის ტარსაც
გამოვიყვან, და თუ გინდ სამ ციცხესაც გამოგიქრიო.

ამის გაგონებაზე ქირის ოფლმა დამასხა. მას შემდეგ ჩემ-
თვის ყველაფერი გამოიცვალა. მზე თითქოს ისე აღარ ანა-
თებდა. ყველა ბოროტად მეჩვენებოდა და მთელ ქვეყანას
ვწყევლიდი, მის უსამართლობას ვაწვევებდი. მაგრამ ზოგჯერ-
კი რაღაც მომივლიდა. თავი უცებ ისე უქწეო და საწყლად
მომეჩვენებოდა, რომ მთელ ქვეყანას, ყველას, რასაც-კი ვხე-
დავდი, მდულარე ცრემლით ვეუღარებოდი, რომ პატარა
სიცოცხლე ქრდევ ეჩუქებინათ.

ოჰ, ძლიერ მეშინოდა, შიშისაგან ტვინი მეწოდა,
რადგან ის ვერ წარმომედგინა, შემდეგ რა მომელოდა.



სიმწარისგან ხან მაკლებდა, ხან მაკხელებდა და, აი, სწორედ იმ დროს სიციცხლე ისე მიყვარდა, ^{ერისე მგონი} ფასად მიმაჩნდა, რომ მზად ვიყავ სადმე ^{შორს, აი,} როგორც ამ ლამეს, მიუვალ ალაგას საუკუნოდ გადავკარგულიყავ. უნდა გენახათ მაშინ, რა საშინლად ვლულდი; ერთი ტოტიდან მეორეს ვაწყდებოდი და ისე ძლიერ ვშრილობდი, რომ აიმ ხევში ჩემი შრიალი ქუხილივით ისმოდა. საწყალ დედაჩემს ძლიერ ვეცოდებოდი, ისიც ჩემთან ერთად იტანჯებოდა და მუდამ წამს ვინ იცის რანაირად არ მარწმუნებდა: მეუბნებოდა, ნუ გეშინიან—არ მოკვდებიო. ჰო, ჰო, ახლა ყველაფერი მომაგონდა, მაგრამ აბა მაშინ ვინ დაუჯერებდა, ან რა ვიცოდი—იმის სიტყვები რას ნიშნავდნენ... ახლა-კი მართლა ვხედავ, რომ არ მომკვდარეარ, რადგან ახლაც ისევე მშვენივრად ყველაფერს ვხედავ, ყველაფერსა ვგრძნობ, როგორც წინად. თითქოს კიდევ გავიზარდე, იმიტომ რომ წინანდელიც ხომ კარგად მახსოვს და ახლანდელი ჩემი ცხოვრება, რაც ციცხვადა ვარ, ის რომ გადაგიშალოთ, სამ წიგნშიაც არ დაეტევა.

ამის გაგონებაზე დანარჩენთ ერთი ისეთი კოცნა-ხევენა აუტყდათ, თითქოს ნამდვილი ახალი წელიწადი მარტო ამათთვის დამდგარაო. ქვაბ-ქოთანა ზედადგარს გაჩქარებული რაღასაც უამბობდა:—მეც მახსოვს, ღეთიშობლის მადლმა, ხევიანთ კლდის ქვემოდ წყარო რომ ჩამოწანწყარებს, ერთ დროს იქ მქონდა ბინაო. მერე ჯინით საღლაც წაგვიღეს და გზა-და-გზა იმას იძახდნენ,—ეს რა კარგი თიხაა, უყურე—რა ჭურჭელი დავაკეთოთო: მერე რა იყო—ის დაჰავიწყდა, გარდა იმისა, რომ ცეცხლის ალში მამანავეს და რამდენჯერაც მუგუზალი ვაძლიერდებოდა, მე უფრო ვარდის ფრად ვიფურჩქნებოდი, ვლამაზდებოდი და ძლიერ მიხაროდა.

ერთი სიტყვით—ახლა ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, ყველას თავისი აგონდებოდა და თავისას ამბობდა.

ბასილა-კი წინანდებურად განზე გამდგარიყო და მოღრუბლულ შუბლათ გაჩენის დღეს იწყებოდა. თან სულ იმასა ფიქრობდა—ამ მაწანწალებს რისთვის ივყე, თავი რად დავილუპეო—და გამალებით ჩამიჩის თვალებს ქურღბაცაცისავეით აქეთ-იქით აცეცებდა, რომ როგორმე ვაპარულიყო. მაგრამ აბა ასასივით თავზე წამომდგარ თოვლის კაცს სად ვაგებარებოდა? ციცი-კი ამ დროს ქვებიდან მთასა და წიფლის ხეს უფრო ყურადღებით აშტერდებოდა. თითქოს კიდევ ეშინოდა. სიზმარში ნახულს ხომ არ ვბოდავო. შემდეგ, რაკი დარწმუნდა, რომ ყოველივე ნამდვილი იყო, ძირს ჩამოვიდა, თოვლის კაცს მუხლებზე მოეხვია და უთხრა:—შენ რაღაც საკვირველი რამ ყოფილხარ. მე აქამომდე ძლიერ მძულდი, ცივი და უგულო მეგონე, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ შენზე დიდი და გონიერი არავინ არა ყოფილა. ყოველივე, რასაც მივხვდი,—შენი ბრალია, და ახლა სიტყვით, მარტო სიტყვით დაადასტურე. მითხარ—სიკვდილი მაშ არა სუფევს?


თოვლის კაცმა ხმა არ გასცა; მინ მთვარისაკენ მიიხვდა და ის დრო იყო, რომ მამალმა სათონეში ერთი ისეთი დიციოდა, რომ უმაღლესს ხმა ჩაუცივდათ. თან დერეფნისაკენ ისეთი თავპირის მტვრევით გაქანდნენ, რომ არ იცოდნენ—ვინ ვის გაუსწრობდა. მამლის ყივილის შემდეგ თოვლის კაცი წელში გასწორდა და თითქოს გაქვავდაო, ისე დადუმდა. ბასილა ახლა-კი თავისუფალი იყო. მთელი ქვეყანა წინ ქალამნად ედო და საითკენაც სურდა—იქით გასწევდა.

—მაშ რა ეგონათ; აბა ახლა მომსპონ, თუ კაი ხალხნი არიან,—სიხარულით გაიფიქრა მან, ამაყად გადააბიჯა და გზას გაუდგა. მაგრამ დახე უბედურებას: სამი ფეხის გადადგმაზე სიდას ძალღი საიდგანლაც ისეთი გააფთრებული ყვეფით გამოუფარდა, რომ უკან გამოქცეული ბასილა სიჩქარით სულ ყირა-ყირა გადადიოდა. რაღას იზამდა? ისევ თაროსკენ გაქანდა და ქვარტლიან კუნჭულში საცოდავად აიტუზა. თან უკ-

მეხმა და, ცოტა არ იყოს, თითქოს კიდევ მორბილებულმა ეს გაიფიქრა:

— რახან ვგრევა, მეც არაფრისა არ მეშინია; თუ-კი გამ-
ხმარი წიფლის ტოტი ციცხვად იქცა და ლამის ქვეყანა ენით
აიკლოს, მე უფრო კეთილშობილი არა ვარ? მაშ ჩემი გზა-
კვალი უფრო სხვა იქნება და უფრო დიდებული, — ახლა-კი
გაბედულად გაიფიქრა მან, და ის წაპი იყო, რომ შესამედ
მამალმა ხმა-მალლა დაიკივლა და ქვეყანას ახალი წელიწადი
ამცნო.

ცქვიბი.





ზამთრის პირი.

ბ

ა ღრუბლებით დაიფარა,
ველზე დაჰქრის ცივი ჰარი;
დაფენილ ბარს ნაღვლიანად
გადმოსცქერის მთა მღუმარი...

ყვავილოვან ბალ-წალკოტში
მიწყდა ფრინველთ ჳიკჳიკ-სტვენა...—
დასჳკნა ველი... და მიდამოს
წარეტაცა შვება-ლხენა...;

წვიშს... მიდამო დაღვრემილი
ცრემლ ჳვეშ ობლად იმზირება...
ოხვრით წყდება ხეს ფოთოლი
და ტყვეს ჩუმად იცრემლება!..

მალე თოვლის თეთრ ზეწარში
 გაეხვევა შთა და ბარი,
 და მდებლობე თოვლის ნამქერს
 დაუბერავს ნიაფ-ქარი!..

ვ. გორგაძე.





ს ი ხ ა რ უ ლ ა .

(ზღაპარი),



ეს ფერი ეცვალა. განთიადის ვარსკვლავი შეერთა და ციმციმი დაიწყო, თითქოს სატირლად ემზადებოა. მთვარეს თავი მოწყენით გვერდზე გადაეხარა და ფერმკრთალ სახეს შთის მწვერვალს აფარებდა.

— ლამევ, ვნებით და სევდით მოცულო ლამევ, შენ გადმოგცემ ხეაშიაღს, — მისუსტებული ხმით წარმოსთქვა ვარსკვლავმა, უკანასკნელად დაიცმციმა და ჩაქრა.

— ხა—ხა—ხა—ხა—ხა! მთვარეს შეხედეთ, მთვარეს შეხედეთ! — რა სასაცილო რამ არის, რა სასაცილო! — მოისმა მზიარული ყიყინა მალლა ჰაერში.

— ცალი წარბი ქვევით ჩამოსწევია, ცალი წარბი ქვევით ჩამოსწევია. ტუტების კუთხეები ქვევით ჩამოუშვია! საცაა იტირებს, საცაა იტირებს! ხა—ხა—ხა—ხა—ხა!

ფოთლებზეა ჩაძინებულმა ნიავეა ყურები სტკვიტა ამ ხმა-

ზე, ვიქცეოდ წამოვარდა, ეცა აღვის ბეს, წვერიდან დაბრუნდის დაურბინა, ქოჩორი აუწეწ-დაუწეწა, ელვასაგანსა ნამოქს-დაეშეა, ეცა მოკამკამე წყაროს და წაეჭიდა.

— გაიღვიძე, გაიღვიძე! რაღა დროს ძილია, შე ხარმა-ცო—შენ!

წყარო რამდენჯერმე შალაყებზე გადავიდა და სიცილით ჩაბეირდა ნიავის ცელქობაზე.

ნიავი ახლა ყვავილებს ეცა, წყაროს წყალი შიგ პირში შეასხა და ხან ერთს წამოჰკრა თმებში, ხან მეორეს:

— გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, თქვე ნებივრებო, თქვე ში-ნარებო!

ნარგიზი შეირხა, ლურჯი კაბის კალთები აიკრიფა, ტანზე შემოიხვია, თავი უკან გადაიხარა, თვალების მოფშენეტაც-კი ვერ მოასწრო და საამურად გაიღიმა.

— რა მშვენიერი დილაა!

მთვარეს შეხედეთ, მთვარეს შეხედეთ!—გაიხმა ისევ ტო-როლას ხმა პაერში.

ფოთლებმა ტაში დაჰკრეს და ყიჟინა შორთეს.

— საცაა იტირებს. რა სასაცილოა: საცაა იტირებს.

— ღრუბელო, ღრუბელო! ცხვირი მოსწმინდე, ცხვირი მოსწმინდე! როგორ ჩამოსტირის თავ-პირი, — დაიძახეს ფოთ-ლებმა, მაგრამ შერცხვენილმა მთვარემ მოასწრო მთის წვერს-იქით მიმალვა.

— ოოჰ, ჰო—ჰო—ჰო!—კეკლუცად გვერდზე თავ-გადა-ხრით გაიხმორა ვარდმა.—გახუნებულა? მადლობა ღმერთს!

— რა იყო, დაიავ?—შეეკითხა მას იქვე ამოსული ია.

— ბულბულმა სწორედ გული გამიწყალა. მთელი ღამე ისეთ სიმღერებს ამბობდა, ისე გულ-საკლავად ხტვენდა, რომ გული ნაწილ-ნაწილად დამიგლიჯა. თან ყურსაც ვერ ვაშორებდი იმის მშვენიერ სიმღერას, თან ვიტანჯებოდი კი-დეც.

— ვერ ვტყვოდი ერთი სამხიარულო რამ მაინც ვმღერო
თავისი შშვენიერი ხმით?

— განა არ უთხარი! რამდენჯერ შეეცხვეწე, მაგრამ
სწუინს; სულ იმას ამბობს—შენ ჩემი გულის თქმა არ გესმის
და იმიტომ ამბობ მაგასაო.

— რა უნდა ნეტავ შენგან? მართალია, შენი ფოთლე-
ბის ცვარი საუცხოო რამეა, მაგრამ იმის გულისთვის ამდენი
კენესა გავონილა? დავიჯერო—შენ დაუქერ ერთ ცვარს, რაც
უნდა ძვირფასი რამ იყოს?

— დაუქერ-კი არა! სულ იმას ვეუბნებოდი, ამა დაეწა-
ფე ჩემ ცვარს, დასტკბი, ჩემო ბულბულო, ოღონდ ერთი სა-
მხიარულო რამე იმღერე—მეთქი. მაგრამ ეს რომ უთხარი,
აიფრთხილა და გაფრინდა გაბუტულივით. ცვარისთვის ნის-
კარტიც არ დაუქარებია. აი, ისევე ჩემ ფურცელზე არის.

ვარდმა ამის თქმაზე ფურცელი გაშალა და ცვარმაც
მარგალიტით გაიკამკამა.

— თქვენ მთვარის ამბავი იკითხოთ?—ჩაერია ლაპარაკში
მიხაკი.—წუხელის ზევით კორდზე ბილილაში ერთი ბავშვი
დაიბადა; ჩვენ ფერის ეყოლა. ისეთი ბავშვია, რომ თვალს
ვერ მოაშორებ. ჩვენ წყაროში კენკი არ მოიძებნება იმ ბავ-
შვივით მაგარი. ნარგიზის სინაზე რა არის იმასთან! ვარდმა
რომ გაშლა იცის, იმაზე უკეთესად იღიმება. მთვარემ-კი გად-
მოხედა ბავშვს და სასოწარკვეთილებით დაიძახა:—აი, დაიბა-
და ტანჯვის შვილიო. რად იქნება, ნეტავ, ტანჯვის შვილი?
მთვარემ სულ ეგრე იცის. წუხელის ერთი ასი წლის ფიქვი
დაეცა ძირს. იმასაც ტანჯვის თვალია, გადახედა მთვარემ.
ის-კი ველარ შეამჩნია, რომ იმ ფიქვის წაქცევის შემდეგ ისეთ-
ისეთი ოც-ოცი წლის ყარყარა ფიქვები გამოჩნდნენ, რომ
თვალი ზედ დაგრჩება.

— ჩვენ ფერის ვაფი ჰყოლია?

— მართლა? აბა სად არის, აბა სად არის?

— ფერიას ვაჟი ჰყოლია, ფერიას ვაჟი ჰყოლია! — დაჯერტა ტაში ფოთლებმა. წყაროჲ კიდევ სიხარულით მალევე დადგინდა იარა და ჩაბეირდა. ნარგიზებმა ჩუმი სამღერა მხარეჲს დასრულა.

— ნარგიზისაა ევ ბიკი, ნარგიზისა: ფერიას ნარგიზი უყვარდა, — დაიძახა ჰაერში ტოროლამ.

ყველა ახმაურდა. ნარგიზებმა, იამ, ვარდმა, მიხაკმა, ზამბახმა ფერხული გააბეს. ბილილამაც ორჯერ-სამჯერ ცეკვით ჩამოიქროლა.

შეე საქაროდ ამოცურდა მთის იქიდან, რომ ფერხული-სთვის შეეხედნა, გაილიმა და დაუწყო ფერხულში ჩაბმულ ყვავილებს ვარდის-ფერ ისრების სროლა. კდმა-მოსილმა ვარდმა თავი უკან გადახარა, გული გაიხსნა და მზის სხივებს გაუშალა.

იმავ დღეს ახლად დაბადებული ბავშვი ერთმა შეშის საკრელად მოსულმა გლებმა იპოვნა, აიყვანა ხელში და, ყვავილებში გამოხვეული, სოფელში წაიყვანა. იქ ერთი უშვილო მებატონე ცხოვრობდა. ბავშვი იმან იშვილა. საკვირველი მზიარული და სალი იყო ეს ბავშვი. ყველას ყურადღებას განსაკუთრებით მისი მოცინარი ნარგიზის ფერი თვალები და ოქროს ქოჩორი იპყრობდა. ამიტომ ბავშვების მოყვარულ ოჯახში ნაპოვნმა პატარამ დიდი სიხარული შეიტანა და სახელად მას დაარქვეს სიხარული.

ბავშვს ჯერ ძლიერ სათუთად ზრდიდნენ; მაგრამ ექვსი წლის რომ შეიქნა, მის მამობილს ცოლი მოუყვდა. კიდევ ერთი წლის შემდეგ მისმა მამობილმა მეორედ შეირთო ცოლი და უმდეგ შვილიც ეყოლა. ამის შემდეგ ნაპოვნ ბავშვს უდიერად ეტყოდნენ ოჯახში და ყველა საძნელო საქმე იმას დააკისრეს: კარმიდამოს დაგვა, საქონლის მოვლა და საბაღათოზე გარეკვა, ღამის მებრეობა, წყლის მოტანა — ყველა იმის



მოვალეობა იყო. ძველი სახელიც-კი შეუცვალეს და ახლია ნაპოვნას ეძახდნენ. მაგრამ ბავშვი თითქოს სრულად ამჩნევდა ასეთ ცვლილებას; ისევ ძველებურად უღიზოდა სახე. ნარგიზის თვალები ისევ ძველებურად რაღაც იღუმალი სიხარულით უბრწყინავდნენ. სტუქსავენენ, უჯავრდებოდნენ, უბრალო დანაშაულსაც-კი არ აპატიებდნენ ხოლმე, მაგრამ ბავშვი ყოველთვის ჩუქად იყო და სახე უღიზოდა. არაერთხელ მოსვლია სიბრაზის დორბლები პირზე იმის დედინაცვალს, როდესაც ვერაფერ მის დატუქსვას ვერ გაუქრია და სიხარულით და კმაყოფილებით განსხივებული სახე ბავშვისა ოდნავადაც არ შეცვლილა. ვერაფრით ვერ აეხსნათ ასეთი გარემოება და ამიტომ გადასწყვიტეს — ალბად ნაპოვნა სულელიაო.

ბავშვი-კი იზრდებოდა, ყურადღებას არ აქცევდა ირავის და თავისი იღუმალი სიხარულით ცოცხლობდა. ყველაზე მეტად საძოვარზე საქონლის გარეკა უყვარდა, რადგანაც იქ ვეღზე ნარგიზები და ზამბახები ეგულებოდა. იმათ აღერსში ატარებდა იგი სულ დღეს და საღამოზე შინ ბრუნდებოდა, მიწვებოდა საღმე კუთხეში, თავის დაკონკილ ახალუბს გადიფარებდა შრებზე და ისე ექინა.

ერთხელ ქალებში სიარულის დროს მან თეთრი არყის ზე შენიშნა. ძალიან მოეწონა ბავშვს ეს ზე. ამოიღო ჯიბის დანა, მოსკრა ზეს ერთი ტოტი, გათალა, და ფანდური-კი გააკეთა. მერე მოსკრა ნარგიზის ღერო, დაშალა იგი ძაფებად, გააბა ფანდურზე და ისეთი საუცხოო ფანდური გამოვიდა, რომ სწორეთ მნახველს თვალი ზედ დარჩებოდა. მეორე დღით ბავშვი დილა-ადრიან წამოდგა, გამოვიდა მინდორში და მზემ რომ მთის მწვერვალიდან თავი ამოჰყო, მის პირველ სხივებს ფანდურის სიძებო მიაგება. პატარა ხანს უკან სიძები ვარდის ფრად შეიღებნენ, გამაგრდნენ და თავის-თავად დაიწყეს საამური ხმების დაკვრა. ფანდურმა



რომ დაკვრა დაიწყო, ბუნებაც გასოცხლდა. ნაკვირვალ-
 ზებმა, ვარდებმა, ზამბახებმა და შიხაყებმა ფენებში
 აბეს; მზე უფრო და უფრო საამოდ იღიმებოდა; მოუსვენ-
 ნარმა წყარომაც-კი მალაყები და ხტუნაობა შესწყვი-
 ტა, სული განაზა და რუკრუკით ჰხატავდა თავის აღტაცებას.

ფანდურის ხმამ და ბუნების მზიარულებამ ისე გაიტაცა
 ბავშვი, რომ საქონლისათვის ყური აღარ უგდია. ცალი
 თვალთ ის-კი შენიშნა, რომ ხბორები არა-ჩვეულებრივად
 მზიარულებდნენ, ლაღობდნენ და მალაყზე გადადიოდნენ.
 საღამოზე ბავშვი შინ მარტო დაბრუნდა, რადგანაც საქო-
 ნელი სულ დაჰკარგოდა. ამიტომ მამობილმა და დედინაცვა-
 ლმა ის სახლიდან გამოაგდეს და უთბრეს—არ დაბრუნდე,
 თუ საქონელს არ იპოვნე და არ მორეკეავო.

აიღო ბავშვმა თავისი ფანდური და გაუდგა გზას.
 გასცდა თუ არა სოფელს, საქონელი სულ გადაავიწყდა და
 თავის ფანდურის დაკვრით ბუნებას ისე სიხარულს ჰფენდა,
 რომ ყვავილებს მთელი ღამე თვალეები არ მოუხუტავთ.

ასე იარა ბავშვმა დიდხანს. როცა მოეწყინებოდა სი-
 არული, თავის ფანდურს მიმართავდა; როცა მოშვიდებოდა—
 მაყვალს, მარწყს და ჟოღსა სქამდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ბავშვმა ცხრა მთა გადაი-
 რა. მეათე მთას რომ გადახედა, წინ გადაეშალა ძველ-გადუ-
 წვდენელი მინდორი; მაგრამ რა მინდორი! სულ ერთიან გა-
 დახრუკილი და გადაყვითლებული იყო მისი პირი. ერთი
 ყვავილი არსადა სჩანდა. ბავშვი გაოცდა; შეხედა მზეს და რა
 დაინახა? მზეს-კი არა-სპილენძის სინსა ჰგავდა. დიდხანს იფი-
 ქრა ბავშვმა, როგორ მოქცეულიყო და ბოლოს ისევ წინ
 წასვლა გადასწყვიტა.

ერთ წყაროსთან მივიდა, რომელიც ძლივს ეონაედა.

გადაბრუნებულ მთის ძირში: უნდოდა შუბლი გაეგრძელებინა და წყურვილი მოეკლა. მივიდა თუ არა წყაროსთან მხტამულად უცებ გულზე ისეთი საამბური სინათლე მოეფინა, რომ ამის თანა ნეტარება თავის დღეში არ გამოეცადა. დაიხარა წყაროს პირზე და დაინახა—მის ძირზე გდია გულის ქინძისთავი.—ამოიღო გულის ქინძისთავი, აათვალიერა-ჩაათვალიერა და გაოცდა. ქინძისთავს ხუთი თვალი ჰქონდა. ერთ თვალში რომ ჩაიხედავდი, ზღვის ზედაპირს დაინახავდი და ზედ მოსრიდღე ფირუზ ტალღებს. მეორე თვალში შენიშნავდი ლაქვარდ ცას, ვარკვლავებით მოქედილს; მესამეში—მზის პირველ სხივებით შეღებულ მთის მწვერვალებს; მეოთხეში—აუარებელ ათას-ფერ ყვავილებს. და მეხუთეში—ცის-ფერ, წყნარ ცას და შუქმფინარ მზეს. ბავშვმა ეს გულის ქინძისთავი თავის თანდურს გაუბნია; თანდური ახალუხის; კალთაში გამოაბნია და გაუდგა გზას.

გზაზე ერთი გლეხი კაცი შემოეყარა.

— სადაური ხარ, ძმობილო, რა ქვეყანაა ეს ქვეყანა?—
ჰკითხა ყმაწვილმა გლეხ-კაცს.

გლეხ-კაცმა გაკვირვებით შეხედა ყმაწვილს, აათვალიერა-ჩაათვალიერა, თავი გაიქნია და უთხრა:

— შენ, როგორც გეტყობა, შორიდან უნდა იყო მოსული, რომ აქაურობის ამბავი არ გაგიგონიაო. ეს ქვეყანა გაუცინარი ხემწიფის სამეფოა. ეს ათი წელიწადია—არც ხელმწიფემ და არც ხალხმა არ ვიცით, რა არის სიცილი. ამ ათი წლის წინად მზეს გველეშაპი გადაეფარა და აი—გადახედე ჩვენს მინდერებს, და მიხედები, თუ რა დღე დაგვაყენა იმ წყეულმა. ბევრი ბრძენი მოიხმო ჩვენმა მეფემ, ბევრი მკითხვენი, მაგრამ ვერაფერ ვერა გვიშველია-რა. ბოლოს ერთმა მკითხვემა უთხრა ხელმწიფეს, რომ არა გეშველებათ-რა, სანამ სიხარულა არ მოვა და არ დაბინადდება შენ სამეფოშიო. ახლი-

წადი და შენ ეძებე; სიხარულა. მანამდის-კი ჩვენ, სული
ამოგვხედება და...
ეროვნული
გინჯული

ყმაწვილს ამ სიტყვების გაგონებაზე სახე გაუბრწყინდა; თვალებმა ელვარებას მოუმატეს. გლეხი გაოცდა.

— შენ, როგორც გატყობ, რაღაც სხვანაირი ბიჭი უნდა იყო, ბედნიერი ქვეყნიდან უნდა იყო მოსული, რომ ეგრე ვიცინის სახე. აბა რა წერას აუტანიხარ, რომ ჩვენკენ წამოსულხარ? გირჩევნია ისევე შენ ქვეყანაში დაბრუნდე.

— არა, იქ მივდივარ, იქ მივდივარ; გული იქით მიმიწევს.

— შენი ნებაა, — დაასრულა სიტყვა გლეხმა და ისეთი შურის თვალით ახედ-დახედა ყმაწვილს, რომ მნახველს შეხარავდა.

ამ დროს ყმაწვილმა ახალუხის კალთა გადაიწია და გლეხს გულის ქინძისთავი მიანათა. გლეხი ჯერ შეკრთა, მერე სახე გაუშეშდა და ნელ-ნელა ღიმი მოერია პირზე.

— ე რა ლამაზი რამა გქონია, ბიჭო! რა არის ეგა—ჯადოქარია? შენ რაღაც სხვანაირ ბიჭსა ჰგეგხარ. შენ ხომ არა ხარ ის სიხარულა, თუ ვილაცა—მკითხავს რომ უთქვამს? ნამდვილად შენ უნდა იყო. მოიტა, მოიტა, შენ გაზდას; — ერთი კიდევ შევხედო ე მაგას და მერე წადი ჩვენ ხელმწიფესთან. იცი—რა გითხრა: ჩვენ ხელმწიფეს ერთი ქალი ჰყავს, ისეთი — ისეთი, რომ ვარსკვლავებს ეთამაშება. მკითხავმა სთქვა—ვისაც ის თავის საქროდ ამოირჩევს, ის იქნება სიხარულის მომტანიო. ხელმწიფეს ჯერ არა სჯეროდა მკითხავის სიტყვა და თავის სასიძოდ ერთი შენ ხელა ბიჭი მოიყვანა; ისა და ხელმწიფის ქალი სულ ერთად იზრდებიან, მაგრამ საქმე რომ ძლიერ გაგვიქირდა, მაშინ ჩვენმა ხელმწიფემაც იკადრა და დაუჯერა მკითხავს. ახლა წელიწადში ერთხელ მორეკავენ ხალმე ხელმწიფის სასახლესთან ყველა ვაჟკაცს: დიდსა თუ პატარას, გლეხსა თუ თავადს. იმათში ეძებს ხელმ-

წიფის ქალი ქვეყნის მხსნელს, მაგრამ აქამდის ვერ უპოვია. იქნება შენ მოუფიდე, ბიკო, თვალში, აი. შენ ეგ აზვენე; ჰეეე, უყურე მაშინ კორწილს! მე და ჩემმა ღმერთმა, ისეთი სუფრული ვთქვა, რომ, რაც ქვეყანაზე გველეშაპე-ბა—სულ დაეფრთხო. შენ კაი ლხინი-კი მოამზადე მაშინ, აი... წადი, წადი, ბიკო. და მეც მალე დაგეწევი.

გიგო ნათაძე.

(დასასრული იქნება).





ღედის საფლავზე.

(ძღენად ჩემ შეიღს მაროს).



ოდესაც ეკლესიის გაღაფანში შევედი, თითქმის ღამდებოდა. მიწურული მზის სხივი ძლივს აშუქებდა იქვე ახლოს ამაღრთულ მთის მწვერვალებს. მყუდრო, საიდუმლოებით მოცული სასაფლაო თითქოს გვაგონებდა საიქაო სულიერ ცხოვრებას. ის იყო ორი ნაბიჯი გადაედგით... ჩემმა შეგობარმა მაგრად ჩამავლო მკლავში ხელი და სთქვა:

— იცი, ღაიკო?! მე მაშინ ძლიერ პატარა ვიყავი. მე ვიცნობდი მხოლოდ ღედას, მე მიყვარდა მხოლოდ ის. მე მქონდა მაშინ, ხუთ გრძნობას გარდა, კიდევ ერთი გრძნობა: ეს იყო გრძნობა სიყვარულისა! არ ვიცოდი, რა იყო სიძულვილი, ან რად უნდა სძულებოდათ ადამიანებს ერთმანეთი.

ერთხელ ღედამ სააგარაკოდ წამიყვანა სურამში. გრილი, სასიამოვნო საღამო იყო. მიმავალი მზე ნაღვლიანად ეფინებოდა სურამის ციხის ნანგრევებს. ნიავი წყნარად სისინებდა და საამურად არხვედა ხის ტოტებს და ღამაზ ბუჩქებს.

ჩვენ ვიჯექით ერთ მომაღლო, მწვანით დაფენილ გორაზე, საიდანაც პირდაპირ უცქეროდით გაღმა მხარეზე მდება-

რე ციხის ნანგრევებს. მე-კი მეგონა, რომ იქ სახლს აშენებდნენ და დედას ვკითხე—ვის უნდა ეცხოვრა ისეთ დიდ სახლში, რომელიც მაშინ ჩემ ნორჩ ბავშურ გონებას შიშს გვრიდა. როდესაც დედამ ჩემსკენ მოიხედა, მე შევეკრთი... არასოდეს არ მენახა მისი სახე ისეთი ნაღვლიანი, ისეთი დაღვრემილი. ლამაზი, მოსზო, მოციხფრო თვალები თითქოს ცრემლით ავსებოდა. მე უცქეროდი და სიტყვას ვერ ვაბერებდი. ამ მდგომარეობაში რომ ვიყავი, დედამ მომხეია ხელი, დაჰისვა მუხლზე და აღერხით მითხრა:

— იქ, შერლო, სახლს როდი აკეთებენ: იქ ძველი ციხის ნანგრევებია. მე ახლავე წაეკითხავ ერთ პატარა მოთხრობას, სადაც აწერილია იმ ციხის ამბები.

ამ სიტყვებთან მან გამოიტანა სახლიდან დანიელ კონქაძის ნაწერი და წაიკითხა. თანაც მიხსნიდა ყოველ წინადადებას და მეუბნებოდა საერთოდ ძველ ბატონ-ყმობის ამბებს. მე გაოცებული უცქეროდი დედას. მისი ნაამბობი-კი რაღაც საშიშ ზღაპრად მჭყვენებოდა. შემდეგ, როდესაც დაასრულა საუბარი, რამდენიმეჯერ შაკოცა და გრძნობით ჩაპიკრა გულში.

— ჩემო ბიჭიკო, ჩემო სულიკო, შენ ხომ ქეშმარიტი სიმართლის მაძიებელი კაცი იქნები?.. შენ ხომ დაამშვენებ ჩემ საფლავს?..

მეკითხებოდა ის და მიცქეროდა. თითქოს ჩემ თვალებში დაეძებდა პასუხს. მე მხოლოდ პირველად ვიგრძენი მაშინ მეორე გრძნობა, გრძნობა სიძულვილისა ყოველივე ძალ-მომრევობის წინააღმდეგ.

მას აქეთ გავიდა ოცი წელი და ბედმა პირველად მარგუნა დღეს დედის საფლავის ხილვა...

აქ შესწყვიტა საუბარი ჩემმა მეგობარმა და თავდაბრილი დაეშვა დედის საფლავზე.

— დილ, ფაქიზია დედის სიყვარული და მტკიცეა დედის სიტყვა... — ჩურჩულებდა ის. თან კრემლები ნაკადულივით გადმოსჩქეფდა თვალებიდან.

ეკლესიის გალავანში კვლავ მყუდროება სუფევდა. სდუმდა აგრედვე დედის საფლავიც. მხოლოდ დაბინდების სიოსისინებდა და წყნარად არხევდა ქორფად გაფურჩქნილ ვარდყვავილებს.

მიმკრალი.





როგორ ვაჩუქე მაცხოვარს

ჩემი საბარემო ხალატი.



ვენ საყდარში, საკურთხეველის მარცხენა კარის პირდაპირ სდგას მხედრის ქანდაკება; თითქმის ბუნებრივი სიდიდის, კუბრივით შავი ულვაწები აქვს. თავზე ფოჩით გაწყობილი მუზარადი ხურავს. ხელში ამოწვდილი ხმალი უჭირავს და შუაზე აბობს საწვიმარ წამოსასხამს.

უკანა ფეხებზე შემდგარ ცხენზე ზის. ცხენის ახლოს ძონძებით მოსილი მათხოვარი ჩამჯდარა. როდესაც პატარა ვიყავი, დედას ხშირად დავეყავდი ამ საყდარში. საყდრის ახლო არის



პატარა სამლოცველო ღვთისმშობლის სახელობაზე, სადაც დედაჩემს უყვარდა ხოლმე ლოცვა. ხშირად, შუადღის პაპანაკებაში, გაისმოდა თუ არა ზარის ხმა, დედა იდგა დაოქილი ღვთისმშობლის ხატის წინ და გულმხურვალედ ესაუბრებოდა. მე ძალიან მომწონდა დიდი საყდარი, სადაც იდგა დიდი რაინდი, რომელსაც აღფრთოვანებით შევყურებდი ხოლმე. ერთხელ საყდრიდან შინ ვბრუნდებოდით; დედა რომ ერთს გადააბიჯებდა მე—სამს. ავიღე თავი და ვკითხე:

— დედილო, ის რაინდი მუდამ ერთ ალაგას რათა დგას? რატო არ გახტება ფანჯარაში და არ გაინაწარდებს ქუჩაში?

— რა სულელურ კითხვებს იძლევი?—მითხრა დედამ,— ის ხომ ცოცხალი ადამიანი არ არის. ის წმიდა მარტიანეს ქანდაკებაა, კეთილის და კეთილმსახურის. ის ახლა ცაშია.

— იმისი ცხენიც ცაშია?—ვკითხე დედას.

— აი, როგორც მიუახლოვდებით მოხერხებულ ადგილს, დაეჯდეთ და დავისვენოთ. იქ მოგიყვები წმინდა მარტიანეს ამბავს,—მითხრა დედამ და განაგრძო გზა. მეც მოუჭპარე ნაბიჯს. ძალიან მინდოდა დასვენება და თითქმის წამდაუწუმ ვეუბნებოდი:

— აი, დედა, საუცხოო ალაგი!

შევედით დაბურულ ტყეში. დედა მივიდა ხავსით დაფარულ ბრტყელ ქვასთან, დამსვა ზედ და თითონაც გვერდზე მომიჯდა. გაისწორა თავსაფარი და რამოდენიმე ხანს ჩუმად იჯდა, თითქოს დაავიწყდა, რომ წმიდა მარტიანეს ამბავი უნდა ეთქვა ჩემთვის. მე შევსცქეროდი დედას პირში, ხან ხეებს უყურებდი და რამოდენიმეჯერ მომელანდა კიდევ—თითქოს ხეებ შორის გაინაწარდა წმიდა მარტიანემ.

— დიახ, ჩემო შვილო, დაიწყო დედამ უცბად:—ყველა ჩვენგანი უნდა ეთესაედეთ სიკეთეს და ვეხმარებოდეთ ღარიბებს ღვთის გულისათვის. ახლა-კი ცოტაა ისეთი ხალხი, როგორიც წმ. მარტიანე იყო. შენ კარგად იცი, როგორი ცი-



ვი ქარი ქრის იქ, სადაც ჩვენი ცხვრები შემოდგომის წინ ხობენ ხოლმე. მართლა, შარშან არ იყო, რომ შენ კინაღამ თითები წაგეყინა? აი, ამნაირი ყრუ, საძაგელი გზით მიდიოდა ერთხელ წმ. მარტიანე. შემოდგომის ცივი ქარი უბერავდა. მიწა გაეყინა და ცხენის ჩლიქებს რაკარუკი გაჰქანდა. თოვლი ბარდნიდა და არ დნებოდა. ღამდებოდა. ცხენი მირბოდა. წმ. მარტიანემ შემოიკეცა წამოსასხამი, რომ არ შესცივროდა. ამ დროს დაინახა მათხოვარი, რომელიც მოკუნტული ქვაზე ჩამომჯდარიყო. ის ძონძებში იყო გახვეული და ძაგძაგებდა; საცოდავად შესკქეროდა მიმავალ ცხენოსანს. დაინახა თუ არა წმ. მარტიანემ მათხოვარი, გააჩერა ცხენი და ჰკითხა: რით შემძლია დაგებმარო, საბრალო მოხუცო?! ოქროვერცხლი მე არ გამაჩნია; ჩემი ხმალი-კი შენ არ გამოვადგება—მძივია. რა მოგცე?

მოხუცმა დახარა ქალარა თავი სანახევროდ ტიტველა მკერდზე და მძივედ აპოიობრა. მაშინ რაინდმა იმიშელა ხმალი, მოიძრო წამოსასხამი და შუაზე გაჰკვეთა. ნახევარი სიცივისაგან აკანკალებულ მოხუცს მიახურა და უთხრა: „მაპატიე. რომ ამის მეტს ვერას გაძლევ, ღარიბო ძმაო,“ მეორე ნახევარი როგორც იყო თითონ მოიხსა და გაუდგა გზას.

ასე მიაპოო დედამ და მიუხედავად ზაფხულის პაპანაქებისა, ავკანკალდი და მიეყარ მას; ასე ვიგრძენი—შემოდგომის ცივი ქარი გამიჯდა ძვალრბილში მეთქი.

—ჯერ არ დამისრულებია—განაგრძო დედამ:—შენ უკვე იცი, როგორ დაეხარა მათხოვარს წმ. მარტიანე; არ იცი—რა მოხდა შემდეგ: როდესაც რაინდი შინ მივიდა, მაგარ ბალიშზე თავი ჩამოსდო და ჩაეჩინა. გამოეცხადა მას ის მათხოვარი, ღიმილით უჩვენა წამოსასხამის ნახევარი და ლურსმნის ნაკეალევი ხელები. სახე ჰქონდა მათხოვარს არა ბებრული და დაღვრეილი, არამედ ბრწყინვალე, როგორც მზე. ეს მა-



თხოვარი იყო მაცხოვარი იესო ქრისტე... ახლა, ^{საქმის შემდეგ}
კო, დროა წავიდეთ.

აედექით და გაუდექით გზას. შემოგვხდა ორი მათხოვარი. ძალიან დავაკვირდი იმათ სახეებს. ვფიქრობდი—ერთი მათგანი უთუოდ მაცხოვარია მეთქი. იმ დღესვე, საღამოთი, როდესაც მიბძანეს საგარეო ტანისამოსი გამეძრო და ძველი, საშინაო ჩაშეცვა, დავეღრიჯე დედას—ვთხოვე ახალ ხალათში დარჩენის ნება მოეკვა. დედა ოჯახურ საქმეებში გაერთო; მე გავკურცლე ტყისაკენ ჩვენი ცხვრების მოსარეკად; იმათთან სძოვდა ჩემი საკუთარი თეთრი კრავიც. მივბობდი და მივკუნტრუშებდი, ქვას ვტყორცნიდი ოქროსფრად შეღებილ ზაფხულის ღრუბლებს.

უკბად თავს წავადექი ქვაზე ჩამომჯდარ, ღარიბულად ჩაცმულ მოხუცს. „შემეშინდა. შევჩერდი და ვერ ვებედავდი წინ წასვლას: „აღბად ეს არის იესო ქრისტე!“ ჩამძახოდა რაღაც. სიბარულის და შიშის კანკალმა ამიტანა და არ ვიცოდი—რა მექნა. თუ ეს ქრისტეა, უნდა მივეცე რამე; წავიდე შინ და დედა მოვიყვანო? ის ხომ იცნობს ქრისტეს! არა, უთუოდ ქრისტეა—ამაირად მორთული შეხვდა წმინდა მარტიანესაც! მოკრძალებით დაეიბიე უკან და დავიწყე ხალათის ვახდა; სიჩქარით ვიქნა ძალზე გამიძნელდა. ვიმაგრებ სუნთქვას, რომ მათხოვარმა არ დამინახოს—მგონიჯერ არ შეუნიშნევარ. ჯიბეს გავიკარ ბელი; თანა მაქვს ახალი და მახვილი დანა; დავიწყე ხალათის შუაზე გაჭრა—მაღე მოვრჩი; მივებარე მოხუცს, რომელსაც ჩამოსძინებოდა, და ხალათის ნახევარი თავზე მოვახვიე.

„შაბათე, რომ მეტის არაფრის მოცემა არ შემიძლია, ჩემო ღარიბო ძმარ!“ წავიბუტბუტე ჩემთვის, ამოვიდე ხალათის მეორე ნახევარი ილღიაში, ერთხელ კიდე შევხედე მაცხოვარს და გავშორდი.

„აღბად გამომეცხადება ამაღამ. როგორ გაეხარდებათ



დღეას და მამას; ჩვენ მიუჩნეთ უკანა ოთახს დამჯდვენი და დავასახლებთ,“ ეფიქრობდი მე.

დაღამდა. ჩავწევი ლოგინში, მაგრამ ძილი არ მომეკარა. გათენდა კიდევ, და ვისაც ველოდი—არ მოვიდა!

დილა-ადრიან, როდესაც მამალმა გააღვიძა მუშა ხალხი და ეზოში ჩვეულებრივი ევილ-ხივილი გაიმართა, მამასთან მოვიდა მოხუცი, სახელად ფეიტელი და გადასცა ჩემი ხალათის ნახევარი. თანაც უამბო, რომ გუშინ საღამოს, როცა ტყეში სოკოები დავკრიფე და დაღალული გზის პირად ქვაზე დასასვენებლად ჩამოვჯექი, ჩამთვლიმა, მომეპარა შენი ვაფი და აი ეს ჩვარი თავში მიხლიშაო.

მამა წამსვე ჩემთან გაჩნდა. წყნარად მოვიდა ჩემ ლოგინთან. ხელები უკან ეჭირა. დინჯი კილოთი მკითხა:—მიტხარი, ჩემო რაინდო,—სადაა შენი საგარეო ხალათი?

მამის კითხვამ და იმის უკან გაშფერდილა ხელებმა ძალზე შემაშინეს—მივხედი, თუ რას ნიშნავდა ყველაფერი ეს და ქვეთინით ძლივს წავილულულე:

„მეგვრონა, მამილო, როგომ ქრიისტე ღმერთს მივეცი“...

„რა სულელური აზრი მოგივა ხოლმე, შე არამზადავ შენა! მე შენ დაგიფთხობ ეშმაკებს!“

მამიჩემის ზურგის უკან თავი გამოჰყო მოზრდილმა შოლტმა. სასოწარკვეთილი ექვეთინებდი.

ოთახში სწრაფად შემოვიდა დედა. ის არასოდეს არ ერეოდა ხოლმე, როდესაც მე მამა მტუქსავედა. ახლი-კი ეცა ზელში და უთხრა: ხალათს ახლავე მოვეკრავ. მოდი ერთ წამს აქ, რაღაცა უნდა გითხრა.

ორივენი სამზარეულოსაკენ წავიდნენ. აღბად დედამ უამბო მამას წმ. მარტიანეს შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ დედაცა და მამაც დაბრუნდნენ. მამამ ღმობიერი კილოთი მითხრა: „ნუ გეშინია, აღარაფერს გერჩი.“



დედამ-კი წამჩუროლა:

ქართული

ენის ინსტიტუტი

„მოსაწონია, რომ მაცხოვრისათვის ხალხის მიტემა მოგიწადინია, მაგრამ არც ისაა ნაკლები საქმე, თუ საწყალო შიხეილის ვაეს აჩუქებ. ღარიბების შეწევნა ისეთივე კარგი საქმეა, ვითომც ღმერთისათვის მიგეცეს. წმ. მარტიანეც ასე შერებოდა...“

აბა, ახლა იდექ, ჩემო ბიკუნია, და საჩქაროდ ტანთ ჩაიცვი, თორემ მამაშენი თავისი შოლტით შორს არ წასულა.“

აღ. შითაიშვილი.





აღვის ხე და ტირიფი.

(იგავ-არაკი).



ბის ახლოს იდგა აღვის ხე,
ამაყად, განმარტოებით,
ლაფვარდ-სიერცეში აწვდილი,
ზე-აღეწილი შტოებით;
საამურ შრიალს იწყებდა,
სიო რომ შეუქროლებდა,
ამეტყველებდა ლურჯ ფოთლებს,
შეათროლ-შეაგრჯოლებდა.

როგორც მლოცველი ბატის წინ,
ცად აპყრობილი ხელებით,
სულ მუდამ ზეცას შესცქერდა,
წვერით, ტოტებით, ფოთლებით;
ხან სდუმდა გარინდებული,
მწარე ფიქრებში წასული,
ხან მოისმოდა ღოცვის ხმა—
ფოთოლის შიშინ-ფურჩული.



ის ვერ ხედავდა სხვა ხეებს,
 ვერც მიწას, თავის დედასა,
 მან არ იცოდა ვარამი,
 არ ეძლეოდა სევდასა.
 იქვე ტირიფი მტირალა,
 ხუჭუჭუნაწნავებ გაშლილი,
 ძირს გადმოყრილი შტოვებით
 მიწაზე იყო დახრილი.

ვით დედა შეილის საფლავზე,
 სტიროდა თავ-ჩაჭინდრული:
 ლურჯ მოსასხამზე მძივებად
 ცრემლები ჰქონდა ასხმული.
 ერთხელ მძაფრ ქარმა ალვის ხე
 ძირს გადმოლუნა დარბევით,
 მტირალა ტირიფს ტბის პირზე
 მან თვალი მოჰკრა შემთხვევით;

ჰკითხა: „ამ მიწას რად ჩასცქერ,
 თვალები რად გაქვს სველიო,
 რად გაგიშლია ეგ თმები,
 ან რა გაქვს სატირელიო?
 მაგრამ... ეჰ... აღბად შენ ზეცა
 არ დაგინახავს ჯერაო,
 ვისაც არ ძალუნს ცით დასტკბეს,
 ის მუდამ სტირის—მჯერაო!“

ტირიფმა უთხრა: „დამაცა,
 მეც ვითხრა სიტყვა წრფელიო:
 ვის მშობლის წყლული არ სტანჯავს—
 გულქვაა, უგრძნობელიო;



აი, შეხედე შავს მიწას,
 ეს ჩვენი დედა არისო,
 ჩვენ შვილები ვართ ტანჯულის,
 ფერ-მკრთალის, გულ-მწუხარისო.“

შენ იგი დაჰგმე, ცად ელტვი,
 მისი სიტურფით სტკებზიო.
 და არც კი იცი—ვინ გშობა,
 ვის ძუძუთ იკვებებზიო;
 გგონია, თითქოს ცა მძულდეს,
 ძირს შიტომ დავიხარეო;
 არა, ძმობილო, ხმა მესმის,
 ხმა მშობლის—კვნესა მწარეო;


მართალსაც გეტყვი, მერწმუნე,
 ვისაც არ ესმის მშობლისო,
 იგი ვერც ზეცით დასტკებზა,
 მეტი ბარგია სოფლისო!..
 ეს უთხრა, ქარმა დაჰქროლა,
 თმა აუწეწა ძალზედა,
 და ღაბა-ღუბით ცრემლები
 გადმოეკაკლა თვალზედა.

ი. სიხარულიძე.





ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԳՆԱԿԱԿՈՒՄԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ



Վ Յ Յ Ն .



ღარ გვყავს „მშობელი ქვეყნის
მოზარე!“

25 იანვარს, ღამის პირველ
საათზე, გარდაიცვალა ჩვენი დი-
დებული მგოსანი აკაკი. აღარ
გვყავს ის, ვინც მუდამ სცილი-

ლობდა თავისი მშვენიერი სიტყვებით ერის მწუხარება გა-
გქარვებინა, უიმედობა — იმედად შეეცვალა, უძლიურება —
ძლიერებად.

აკაკი გარდაიცვალა...

მან პირნათლად შეასრულა თავისი აღთქმა:

ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მზარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!

სულ უკანასკნელ წუთებში აკაკი, როდესაც საშინელი
სენი ნელ-ნელა იმორჩილებდა მის სხეულს, ტკივილისაგან
აკანკალებული ხელით მგოსანი სწერდა სამშობლოს სიყვა-
რულით გამსჭვალულ სიტყვებს ახალი პოემისას („ომი“).



ბოლოს ხელიც გაუჭერდა!

ისევ იწყო ნელ-ნელა გამობრუნება, მაგრამ... 25 იან-
ვარს დიდებული მგოსნის ჩანგურის ჰაეროვანი სიმები გა-
წყდა.

მთელი თავისი სიკოცხლე, თავისი ნიჭი და უნარი მგო-
სანმა საესებით შესწირა საყვარელ სამშობლოს და არც
ლხინსა, არც ქირში არ დავიწყებია, რომ ნიჭი, რომელიც
ჯანგებამ მას მიანიჭა, ეკუთვნოდა ხალხს სიკეთისა და სიპარ-
თლის საშახურად:

„მე ჩანგური მისთვის შინდა, რომ სიპართლეს შსა-
ხურებდეს,
ჯანაშტიკოს აზრი წმინდა, გულს სიწმინდით ახუ-
რებდეს;
რომ დაჩაგრულთ შის სიმღერით, თვალთ ცრემლები
ეშრობოდეს,
და შაგვრელსკი გულში ძგერით ისარივით ესობოდეს!

მართლაც ვის ლექსებშია ის მშვენიერი, ნაზი და ლალი
სიტყვები, რომლის აზრი და სიმფონია ქართველის გულს მა-
ლაპოდ ხედება და მთელ არსებით თავისკენ იზიდავს? ვის
არ სმენია, რომ გაკირებული, შეწუხებული გლეხი-კი თავის
ქაეშანს მისი სიტყვებით განაქარებებს? ლხინსა და ტირილში
ყველგან ერთნაირი ვატაკებით წარმოსთქვამენ ხოლმე მის
ლექსებს და ხალხიც იცნობს თავის სიამაყეს, თავის აკაკის!

უსაზღვროა სიყვარული მგოსნისა სამშობლოსა და ადამ-
იანისადმი. ლხინშია-კი ვერ ივიწყებს ის ტანჯული ერის
შდგომარეობას და ატირებული „ნათელას“ პირით გვამცნევს
მთელ სილიადეს თავისი სიყვარულისას.

მგოსანმა არ იცის სიყვარული გარეშე მშობელი ერისა.
„მე ვოვია მისთვის მიყვარს“, — ამბობს პოეტი „გოგია მჭან-
გურეში“:



რომ თავიდან ფეხებამდე
 ის მამულის შვილია ი,
 თვის მარჯვენას მისთვის ხმარობს
 და მისთვის ჯღერს მისი ქნარი!

მშობელი ერიც საესებით იზიარებს თავისი პირმშო შვილის სიყვარულს, რომელმაც გაამშვენებია ერის ბურჯი—ენა. ხალხს უყვარს თავისი დიდება, თავისი აკაკი, და ყოველ ოჯახში სასიხარულოდ მიიჩნიათ, როცა ახლად მოტიტიჩე ბავშვი ეროვნულ ავითშემეცნებას აკაკის „მე პატარა ქართველ“-ით იწყებს.

ექვს წლამდის გლეხის ოჯახში გაზდილმა მგოსანმა კარგად შეითვისა ღარიბი გლეხის ქირ-ვარამი და ის, რაც ჩასწვდა პატარა კაკოს ფაქიზ გულში, არასოდეს არ დავიწყებია „დიდ“ აკაკის და მისი ჩანგი შედგარი მოსაჩრღევა გაქირებული ხალხისა. ის არ ივიწყებს, რომ შრომა და არა მუქთა—ხორაობაა ადამიანის ნუგეში, და საუცხოოდ გვიბატავს გლეხის სიხარულს და სიამაყეს, როცა ის მომწიფებულ პურში ტრიალებს:

„ვისაც რა უნდა უყვარდეს,*)

სულ სხვაა ჩემი ტრფიალი:

მიყვარს პირ-წმინდა ნამგალი,

მისი ყანაში ტრიალი“...

ის, ვისაც ადვილი საშოვარი და სხვის უბედურებაზე თავისი კეთილდღეობის აშენება ენატრება, გლეხს წარმოუდგენია ქორის მზგავსად, რომელთანაც გამკლავება მუშას ხშირად უძნელდება. მას სძავს ასეთი ადამიანი და თავმოაწყონედ ამბობს:

*) მეშის ნ.ტვა.



„ქორი ვარ, სხვას რომ მოვტაცო?“

რად გავიშავო პირი მე?

გარს შემოვევლე ჩემს გუთანს,

ჩემი სახნისის კირიმე!“

საკმარისია მხოლოდ ეს ორი ტაეზი ავიღოთ, და დავინახავთ, რომ მგოსანმა შიგნით მუშის სულის კვეთებას და მასთან ერთად განიცდის ყველაფერს, რასაც ამბობს.

უკვდავმა შოთა რუსთველმა სთქვა: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შიირია ამაღ კარგი“-ო. და მართლაც—ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი სიცოცხლე მუშისა ასე მოკლედ, მკაფიოდ და თანაგრძნობით გამოხატა ჩვენმა დიდებულმა ხელოვანმა. ასეთი ლექსები და სხვა ნაწარმოები მგოსანს მრავალი აქვს და ყველაში ნათლად არის გატარებული:

„გამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმე მოვეფერო,
და გამიხმეს ეს მარჯვენა, თუ სიმრუდით სივით ვაედერო!“

ლადი სიყვარული ადამიანისა და სამშობლოსადმი, რომელიც მგოსნის გულში ღვივოდა, მის გენიოსურ ნიქს აორკეცებდა და დაუშრეტელი მზნეობით ავსებდა. სწორედ ამ სიყვარულმა მისცა ძალა და შეძლებაც შებრძოლებოდა ძველ ენას მწერლობაში და შეეტანა შიგ დაბეჭავებული ხალხისათვის გასაგები ენა. მგოსანს ესმოდა, რომ ხალხური ენით გამოთქმული აზრი უფრო შეაყვარებდა ხალხს დაჩაგრულ ადამიანს და სწავლა-განათლების სურვილს აღუძრავდა. მართლაც ახალი ლექსები ძალიან გავრცელდა ხალხში და მათი ციური ჰანგებით მოჯადოებული მოწინააღმდეგეებიც აკაკის მიერ შემოტანილ ახალ მიმართულების წინაშე ქედს იხრიდნენ და გზას ულოცავდნენ.

აკაკი და ილია არიან მამამთავრები დღევანდელი მწერლობისა და ყველას, ცოტად თუ ბევრად მკოდნეს ქართულ



შწერლობისას, და არ მკოდნესაც უყვართ თავისი ბული შწერლები.

ორმოცდა — ჩვიდმეტ წელიწადს მოღვაწეობდა მგოსანი სამშობლოს საკეთილდღეოდ და კარგად ჰქონდა შეთვისებული მისი ავ-კარგი. გამკრიახი მოღვაწე თავისი მოსიყვარულე გულით გრძნობდა, რომ სამშობლოს უმთავრესი ნაკლი საზოგადოების დაქსაქსულობა იყო.

ამის გამო იყო, რომ საქართველომ ნელ-ნელა დაკარგა ყველაფერი, რაც ჰქონდა, და ბოლოს საქმე უმადლესი წოდების გადაგვარებაზე მიდგა. საფრთხე მოელოდა ენასაც, რომელსაც უკვე ადვილად ივიწყებდნენ, და ენასთან ერთად ეროვნებასაც ქურქსავით იცვლიდნენ. ასეთი მდგომარეობა სულს უშუოთავს მგოსანს, და ის სწყველის ყველას, ვინც კი ანგარების გამო ივიწყებს მშობელ ერს:

„კრულია მისი ხსენება,
 ვინც დაჰგომბს დედა-ენასა,
 თვის ტომს ლალატობს და მითი
 აპირობს მალლა ფრენასა.“

მაგრამ როდესაც გულის წყრომა გაუელის, მგოსანი ნაზი სიმღერით თავს ევლება სამშობლოს და ჩვენთვის შეუმჩნეველად გულში გვინერგავს ერთობისა და სიყვარულის გრანობებს.

მგოსანი ქართველებს იღარებს ჩანგურის სიმებს, რომლებიც მართალია სხვა-და სხვა ჰანგზე, მაგრამ ყოველთვის — „ერთი მეორის თანხმობით“ წკრიალებენ, და —

ერთი მათგანიც რომ გაწყდეს*),
 მაშინვე უნდა შეველაო,

*) ნათელა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ არ გაფუჭდეს ჩანგური...

.....

ჩანგური საქართველოა,

სიმები ჩვენ ვართ ყველაო...

ჩვენ ხომ სიმების სისუსტემ

სინათლე დაგვიბნელაო!..

რა ხელოვნებით არის აქ გამოხატული ეროვნულ-საზოგადოებრივი გრძნობები!

პოეტს სწამს, რომ ერთ-ერთი გრძნობა გაიმარჯვებს და მსმენელს მგოსანთან ერთად აღიარებინებს, რომ „ერთობა ჩვენთვის ტახტია“...

ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ სამოცდა—ხუთმეტწლის მოხუცმა, დიდებულმა მგოსანმა აკაკიმ დალია სული თავის საყვარელ დაბა საჩხერეში.

ბევრს არ უნახავს აკაკი პირადად, მაგრამ მისი სიყვარული ყოველთვის იყო ხალხში და დღესაც იქნება. ერი ვეღარ იხილავს თავისი თვალით მგოსან აკაკის, მაგრამ სულით, გულთ და განცდით მუდამ მასთან იქნება, და როგორც უკვდავი და დაუფიწყარია სიტყვები,—„ერთობა ჩვენთვის ტახტია“, ისე უკვდავი და დაუფიწყარია აკაკიც. აკაკი მოკვდა სხეულით, მაგრამ მუდამ ცოცხალი იქნება თავისი არსებით—თავისი ნიჭით.

ი. ანთაძე.





ასსირიელები

თბილისში.



ძლიერი იყო ასურეთი. არ ჰყავდა მეტოქე
ნინევიას. ასურ-ნასირპალი, ტიგლატილესა-
რი, ასარპადონი, ასურბანიპალი და სხვანი
მრავალნი შეფენი ასურეთისა თავისუფლად
დასეირნობდენ მთელ აზიაში და დიდ ბაბი-
ლონს შიშის ზარს სცემდნენ. მაგრამ განვლო

მრავალმა საუკუნემ; შემცირდა ომების გამო მრავალ-რიცხო-
ვანი ასურთა ტომი, შედრკა მათი ძალა, დაეშო ნინეფია
და განადგურდა ასურეთი.

ახლა მრავალ-რიცხოვანი ტომის ნაშთად დარჩა პატარა
ტომი ასირიელებისა. ასირიელნი რიცხვით 200 ათასს არ
აღემატებიან. სცხოვრობენ ურმიის ტბის ნაპირებზე და ოსმა-
ლეთის ქურთისტანში. ოდესღაც თვით ძლიერნი - ახლა იძუ-
ლებულნი არიან უძლური სპარსეთის ბატონობა აიტანონ დ
სხვა ერთა ბედის უკუღმართობა თავისი ბედის უბედურებად
ჩასთვალონ. თვით ის მიწა, რომელზედაც ისინი სახლობენ,
ნელ-ნელა ხელთაგან ეკლებოდათ. სულ მოკლე ხანში მოისპო.
სპარსეთში კანონი, რომლის ძალით, თუ რომელიმე ქალი
მაჰმადიანობას მიიღებდა, შეიღ მუხლს მისი ნათესავებისას ჩა-
მოერთმეოდა მამული და მას გადაეცემოდა.



მძიმე გადასახადებმა და სპარსეთის ბატონთა რეთის მიწების გაჩუქებამ ისინი ქონებრივად დააქვეითა და ნახევარი ტერიტორია დააკარგვინა. დღეს 200 ათასი ასურელი ამდენსავე სპარს-ქურთებში არიან შერეულნი და მაშასადამე ერთ მთლიან ასურელთა მოსახლეობაზე ლაპარაკი ძნელია. ქონებრივად დაქვეითებულნი ასურელები იძულებულნი იყვნენ ბედი სხვაგან ეცადათ და მრავალი მათგანი გადიოდა სამუშაოდ უცხო ქვეყნებში. ბევრი მათგანი მოდის რუსეთში და კერძოდ საქართველოს სხვა-და-სხვა ქალაქებშიც. ასურეთი ერთ დროს განთქმული იყო თავისი სწავლა-განათლებით. ქართველებს მათთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ და ქრისტიანობაც პირველად მათგან მიიღეს. ასურულიდანვე იყო ნათარგმნი ქართული წიგნები და ასურელები აფრცვლებდნენ მათს ჩვენში. რასაკვირველია, ყველას გაუგონია ათ-თორმეტი სირიელი მამების მოღვაწეობის ამბავი. სამწუხაროდ მუდმივმა დევნამ ასურელები შეტად დააქვეითა კულტურულად და დღეს ისინი ამ მარცხს დაბალ საფეხურზე სდგანან. სხვა და-სხვა რწმენის მისაონერებმა თავისი სწავლის გასატარებლად მართალია სკოლები და ჟურნალ-გაზეთებიც კი დაარსეს ურშიაში, მაგრამ ისინი იმდენად განათლებაზე არა ჰქვიპობენ, რამდენადც თავისი აზრების გატარებაზე. ამიტომ წმინდა ეროვნულ-აღმზრდელი სკოლა ასურელებს დღეს აკლიათ. ჟურნალ-გაზეთებშიც მხოლოდ ერთი „ვარსკვლავი“ ეშახტურება ეროვნულ საქმეს და ბავშვებისთვისაც ცალკე განყოფილება აქვს.

ახლანდელმა ომმა არ დასტოვა უბრალო მაყურებლებად ასურელებიც: მათი მიწა წყალი რუს-ოსმალთა ბრძოლის ველად გახდა და უძლეური სპარსეთი იძულებულია თავის ქვეშევრდომთა განადგურებას გულ-ხელ-დაკრეფილი შეჰყურებდეს. ქურთების შემოსევის გამო აწიოკებულ ასირიელთ მიუტოვებით თავისი საზღ-კარი, სარჩო-საბადებელი და



10 ათასი კაცი, ქალი და ბავშვი, რუსეთში შემოვიდა და საშინელი სიცივისა და შიმშილისაგან ჯერ კიდევ 600 კაცი გარდაიცვალა. 3 ათასი მათგანი დაახლოებით ტფილისს შემოეფარა. უმეტესობა სამშობლოში შეძლებულნი და უზრუნველ-ყოფილნი იყვნენ, აქ-კი ღუკმა პური ენატრებათ და იძულებულნი არიან უფასოდ თანამემამულეთა შიერ დათმობილ სახლებში, უკვე შეგებოდ და უსკამოდ პირდაპირ იატაკზე მოეწყონ. უკულმართმა ბედმა ერთხელ კიდევ უმუბთლა პატარა ერს და წინ იცის— შეიძლება ეს მათვის უკანასკნელიც იყოს.





გრძელა აღამიანისა გუნეზასთან.

(წერილი მექვიდე).

არხები და ტელეგრაფი.



აკლები წარმატებით არ მიდის ახლა საზღვაო მისვლა - მოსვლის გაუმჯობესობაც, რომელზედაც უკვე გვქონდა ჩვენ ლაბარაკი მეოთხე წერილში. წინაღ, მაგალითად,

მთელი დედამიწის გარშემო შემოვლას მოგზაურები უნდებოდნენ ორ-სამ წელიწადს, და ახლა კი რკინის გზებისა და ორთქლ-მაველი გემების წყალობით თქვენ შეგიძლიათ შემოუაროთ მთელს დედამიწას გარშემო სულ ერთ თვე-ნახევარში, მაგალითად, რომ წახვიდეთ თბილისიდან რკინის გზით ბაქოზე, რუსეთზე და ციპრიზე, ქალაქ ვლადივოსტოკამდე (ქვეს დიდა ოკეანის დასავლეთის კადით), დაგქირდებით ორი კვირა; იქიდან ორთქლ-მაველი გემით გადალახავთ მთელს დიდს ოკეანეს ორს კვირაში. ეს იქნება ერთი თვე; ხოლო იქიდანაც დანარჩენ ორ კვირაში გადალახავთ მთელს ამერიკას, ატლანტიის ოკეანეს, ევროპას და შობრძანდებით კვლავ თქვენს საყვარელ თბილისში..



ასეთს წარმატებაში და მდგომარეობაშია დღეს ჩვენი მიმოსვლის საშუალებანი და, თქმა არ უნდა, რომ დღეს-ხვა-ლოაობით იგი ერთი-ორად და სამად გამრავლდება და გასწრაფდება კიდევ. ამის წინამორბედია, მაგალითად, პარში ფრენის საქმის განსაკვიფრებელი წარმატება...

მეტადრე დიდი შეღავათი და სისწრაფე მისცა ადამიანმა საერთაშორისო მისვლა-მოსვლას საზღვაო და სამდინარო არხების გათხრით. წინად, მაგალითად, ინგლისელები მთელს თევს ანდომებდნენ მარტო აფრიკის გარს შემოვლას, რომ ინგლისიდან ინდოეთში წასულიყვნენ. მაგრამ 1855—1870 წლებში, ე. ი, მთელი 15 წლის განმავლობაში საფრანგეთის ცნობილმა ინჟინერმა ლესეპსმა და ეგვიპტის მმართველმა გაათხრევინეს სუეცის არხი, სიგრძით 150 ვერსი, სიგანით 50 საეენამდის და სიღრმით 4 საეენამდის. შეერთეს ამ გვარად ორი ზღვა—ხმელთა-შუა ზღვა და მეწამულისა და ამით თითქმის ერთი-ორად და სამად შეამცირეს ინდოეთში მისასვლელად გზა და დრო. ამ არხის გავლას პირველ ხანებში უნდებოდნენ ორ დღეს, ხოლო ახლა, როცა მთელი არხის სიგრძეზე გამართეს ელექტრონული განათება, უნდებიან 15 საათს. 1875 წელს ინგლისელებმა შეისყიდეს ყველა აქციები ეგვიპტის მმართველისა და მას მერე არხის უმთავრეს პატრონად და გამგედ გახდა ინგლისი...

ასევე მოიქცნენ გერმანელები: ბალტიის ზღვიდან ლოუთის ზღვაში გასასვლელად მათ უნდებოდათ მთელი იუტლანდიის ნახევარ-კუნძულის გარს შემოვლა. მათ გათხარეს არხი ნახევარ-კუნძულის უეიწროვეს ადგილას და მით ერთი ათად გაიადვილეს ამ ორ ზღვათა შორის მიმოსვლის გზა. ამ არხს ჰქვიან კილის (ქადაქაა იქ) ანუ იმპერატორ ვილჰელმის არხი.

ასევე მოიქცნენ ბერძნები: იონანეთის ზღვიდან ეგეის ზღვაში გასასვლელად მათ სჭირდებოდათ მთელი ნახევარ-



კუნაულის შორის გარს შემოვლა. მათ გასქუნიან მისი
რინთეს არხი ამ ორ ზღვას შორის და მით ერთი ათად გაი-
ადვილეს მიმოსვლის საქმე...

ასევე გაიადვილეს ამერიკელებმა მიმოსვლა დიდსა და
ატლანტიის ოკეანებს შორის; ამისათვის მათ გათხარეს ისე-
თი უშველებელი არხი პანამის ყელზე. რომ უდიდესი გემე-
ბიც სულ ადვილად გადიან ერთი ოკეანედან მეორეში. წი-
ნად-კი ამავე გემებს უხდებოდათ მთელ სამზრეთ ამერიკის
გარს შემოვლა! ნახეთ ეს ქარტაზე და თქვენ განცვიფრდებ-
ით ადამიანის შეერთებული ძალის ყოვლად-შემძლებე-
ლობის წინაშე!..

ადამიანი ბრწყინვალეთ დასძლია სივრცე, რომელიც
იყო უსაშინელესი იარაღი ხალხთა დაშორებისა და კარ-ჩა-
კეტილობისა! ამ გამარჯვებას უნდა უმაღლოდეს ადამიანი,
რომ დღეიდან ისპობა ურთი-ერთ დაშორების ყოველი ზიან-
ი, როგორც კერძო ადამიანებისა, ისე მთელი ხალხებისაც.
დღემდის ადამიანი იყო სრული მონა იმ ნაქერ მიწისა, რომე-
ლზედაც იგი სცხოვრობდა. ამა თუ იმ მიწაზე შეიძლე-
ბოდა ეცხოვრა მარტო იმდენ სულს, რამდენის გამოკვებაც
შეეძლო ამ მიწას. ჩვენს წერილებში მოხსენებულ საქმეთა
წყალობით-კი ახლა სრულიად აღარ არსებობს ასეთი დამო-
კიდებულება მიწას და ადამიანს შორის. დიდი ქალაქების
მცხოვრებნი იღებენ ყველაფერს, რაც-კი საჭიროა მათთვის,
არა მარტო ახლო-მახლო მდებარე ადგილებიდან, არამედ
ქვეყნის ყოველი მხრიდან. მაგალითად, ლონდონი იღებს მი-
სთვის საჭირო ცხვრის ზორცსა არა მარტო თვით ინგლისი-
დან, არამედ უშორეს ავსტრალიიდან და ახალ-ზელანდი-
იდან (ავსტრალიის ადმოსავლეთ გვერდზე), პურს რუსეთიდან,
ამერიკიდან, ინდოეთიდან, იმავე ავსტრალიიდან და სხვა. ჩვენს
დროში ხალხს შეუძლიან განცხროპით ცხოვრება თვით უდა-
ბნოში და საუკუნო ყინულთა შორისაც-კი. მაგალითად,



კომბილია, რომ სამხრეთ ამერიკის უდაბნოში, ატაკამაში, მოიპოვება მდიდარი მადნები ოქრო-ვერცხლისა და მეტადრე სპილენძისა, გაშენდა მთელი ქალაქები და სოფლები. თუმცა იქ ერთი ხეც არ იზრდება და მთელ ას ვერსზე წვეთ წყალსაც ვერ იშოვნით! რკინის გზების გაყვანამ ყველა ეს ნაქლი დაჰფარა: დღეს საჭირო აღარ არის, რომ ესა თუ ის სანოვაგე უთუოდ ადგილობრივ მოპყავდეთ და მზადდებოდეს, საჭიროა მხოლოდ, რომ ყველა ეს სწრაფად და იაფად მოქონდეთ თუნდა ცხრა-მთას იქიდან! ამ საქმეს-კი მშვენივრად ემსახურებიან რკინის გზები, ორთქლ-მავალი გემები და მეტადრე ტელეგრაფი, რომელიც თვალის დახამამებაში აცნობებს მთელს ქვეყანას—თუ სად რა არის საჭირო, თუ სად რას თხოვლობენ...

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ტელეგრაფს აქვს დიდი და მრავალგვარი მნიშვნელობა—ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მხრით. მეტადრე დაუფასებელია ტელეგრაფის სამსახური რკინის გზების მატარებლების მიმოსვლის მოწყობისას, ქარიშხალთა დასაწყისის ცნობის მიწოდებაში, რაიმე სტიქიურ უბედურებათა მოხდენაში (გეგხდას, წყალ-დიდებასა, მაწის-ძვრისა და სხვათა). დასასრულს, ნუ დავივიწყებთ ტელეგრაფის დიად მნიშვნელობას თანამედროვე ბეკდვითი სიტყვისათვის და სხვა აუარებელ წვრილმან საქმეებისათვისაც...

ზემოდ განმარტებულ საქმეთა წყალობით, ადამიანი ძალა-უნებურად ხდება ნამდვილ მომქმედ ნაწილად არა მარტო თავის ერისა, არამედ მთელი კაცობრიობისაც. ეს არის მიზეზი, რომ თვით სახელმწიფოებსაც ვეღარ შეუკავებიათ თავი კარ-ჩაკეტილობაში და ადგენენ ერთმანეთში ეგრედწოდებულ საერთაშორისო საფოსტო და სატელეგრაფო კავშირებს, საერთაშორისო კონგრესებს და საჯარო ხელშეკრულობებს შესახებ ბაყების დაკლებისა საქონელზე და



სხვა. ყველა ეს-კი იმის მომასწავებელია, რომ ახლუკმუშეველი
 ლში ადვილად შესაძლებელია სრულიადც მოსპანსსაზვეტან
 ბი, რომლებიც დღეს ხშირად დიდს აურ-ზაურს და ომსაც
 იწვევს ხოლმე მეზობელ სახელმწიფოთა შორის, და ამგვარად
 ყოველი ერი და სახელმწიფო გახდება წევრად ერთი
 ძმურის კავშირის და ფედერაციისა.

ამის ნიშნები უკვე არის აქა-იქ: ინგლისში, მაგალითად,
 სრულიად არ არსებობს საბაჟოები, იქ საზღვარი თავისუფა-
 ლია და ვისაც რა ჰსურს, შეუძლიან შეიტანოს კიდევ და
 გამოიტანოს რაიმე, გადუხდელად ბაჟისა. ამას იქ ვა-
 კრობ-ს თავისუფლებას ეძახიან. ხოლო შეეცარიაში
 ისე მცირეს იღებენ საბაჟო გადასახადებს, რომ თით-
 ქმის ბაჟად არ ჩაითვლება. დიად, ზემოდ განშარტებულ სა-
 ქმეთა წყალობით, კაცობრიობა შეუყენებლად მიისწრაფვის
 გაერთიანებისაკენ, თუშკა მასთან და იმავ დროს ყოველი
 სახელმწიფო და ცალკე ერნიც შესანიშნავის თავ-გამოდებით
 აღრმავებენ და ანვითარებენ საკუთარ ხალხოსნობას, საკუ-
 თარ ეროვნულ თვისებათ .. ტყუილად-კი არ ამბობს მეცნი-
 ერება, რომ სასრულე სხვა დასსხვაობაშიაო!..

შეადარეთ თუნდა ერთადერთი, უსიციცხლო, სამარისე-
 ბური ცხოვრება-მოქმედება რომელიმე მიყრუებული სოფლი-
 სა რომელიმე სამრეწველო და სავაჭრო ქალაქის პრაველ-ფე-
 როვან და სიციცხლით სავსე ცხოვრება-მოქმედებას და
 თქვენ დარწმუნდებით მოყვანილი სიტყვების სრულ სიმარ-
 თლეში...

*
 * *

საუკუნოებით და მთელი ათი და ოცი ათასი წლობით
 დედის ძუძუსთან შეწოვილი ცრუ-მორწმუნოებანი, მართა-
 ლია, უფრო ძნელად ინგრევა და იფუშება, ვიდრე გარეგანი
 ნივთიერი (ფაზკურა) დაბრკოლებანი ხალხთა ურთიერთო-



ბისა და კავშირისა: მაგრამ ყოველმა ჩვენგანმა უნდა კარგად და ღრმად გაითვალისწინოს და შეიგნოს, რომ ეს კრუ-მორწმუნოებანი ნაყოფია მისი ათას-წლოვანი კარ-ჩაკეტილობისა! . დღეს, არა თუ სვა-და-სხვა ხალხებს შორის, არამედ ხშირად ერთ და იმავე ღვიძლ ხალხშიაც მეტის-მეტად ხშირია მტრობა და განხეთქილება, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ის საერთო კულტურა, რომელიც შეუწყენებლად და ძალა-უნებურად მოსდევს ხალხთა ურთიერთ გაცნობასა და მათ შორის მისვლა-მოსვლის და კავშირის საშუალებათა გაუკეთესებას და განვითარებას, ნელ ნელა შეამცირებს და ბოლოს სულაც მოსპობს თვით ჩვენ გონებრივ-ზნეობრივ სიჩლუნგეს და იმ ურთიერთ მტრობასა და განხეთქილებას, რომელსაც ასე ხშირად ვხედავთ დღეს ჩვენ კერძო ადამიანებსა და მთელ ერთა და სახელმწიფოთა შორის... მისვლა-მოსვლისა და ურთიერთობის განმტკიცებისა და გაუკეთესობის წყალობით ერთი და სახელმწიფოთა სულ უკეთ და უკეთ-გაიკნობენ ერთმანეთს, შეითვისებენ ურთიერთისაგან საუკეთესო მხარეებს და ამგვარად იცხოვრებენ ყველანი ერთიანად, კაცად-კაცურად, კაცობრიულად...

როცა ვკითხულობთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, აშკარად ვრწმუნდებით, რომ რა წამსაც ჩვენი ქვეყანა უახლოვდებოდა თავის ამა თუ იმ ნაწილებსა ანუ სხვა ქვეყნებსა, მმართვედა მათთან მოქალაქურ ურთიერთობას და მშვიდობიან მისვლა-მოსვლას, თუნდა რომ ეს ურთიერთობა სრულიად სხვა რჯულის ხალხებთან. ყოფილიყო. ეს მაშინვე შესანიშნავად, საკეთილდღეოდ გამოადგებოდა ჩვენს ქვეყანას და წარმატების გზაზედაც მიდიოდა იგი. აიღეთ თუნდა „ოქროს ხანა“ ჩვენი ისტორიისა—თამარ მეფის დროს. თამარად შეიძლება ვსთქვათ, რომ მკირეოდენ ომებს გარდა, ამ მეფის მთელი მეფობა ერთი დაუსრულებელი შეცადინეობა იყო ქრისტიან თუ მაჰმადიან ხალხებთან დაახლოვებისა და



მათთან ურთიერთობის აღდგენისათვის. ასევე იყუ
დავით აღმაშენებლის დროს, რომელიც თუმცა თვით დიდი
ვაჟკაცი იყო, მარად იმის ცდაში იყო, რომ ყველასთან
შეგობრულ განწყობილებაში ყოფილიყო და გარდა ამისა
ოცობით და ასობით აგზავნიდა ჩვენს ახალგაზდებს სიღვარ-
გარეთ სწავლა-განათლების შესაძენად...

მათ შემდეგ ჩვენს შეფეებს სამწუხაროდ ნაკლებად ეს-
მოდათ ქვეყნის კარ-ჩაკეტილობის დიდი მავნებლობა და
შოლოდ იმას ზრუნავდნენ, რომ საკუთარ ციხე-სიმაგრე-
ებში ჩაკეტილიყვნენ, იმის მაგივრად, რომ ყველასთან
ურთიერთობა ტ მისვლა-მოსვლა გაეჩაღებიათ, თვითონაც ლა-
ლად და უშიშრად ყოფილიყვნენ და სხვანიც ლალად და
უშიშრად ეტარებინათ თავიანთ ქვეყანაში...

ერთი სიტყვით, დროა შევიგნოთ შემდეგი: კარ-ჩაკეტი-
ლობა და მორიდება სხვა ხალხებისა ყოვლად დასაღუბია
ქვეყნისათვის, რადგანაც არც ერთი ქვეყანა, რაც უნდა
ქლიერი და ნიჰიერი იყოს იგი, ვერა და ვერ განვითარდება
მარტო თავისით, აუცილებლად საჭიროა სხვა ხალხების, მე-
ტადრე დაწინაურებულების, გაცნობა და მათთან კავშირი-
ურთიერთობა, რომ შემდეგში თვითონაც შეიძლონ მარად
და შეუწყნებლად თვით-მოქმედებად და და თვითგანვითარე
გზაზედ სვლა.

ივანე როსტომაშვილი.





მეურნეობა.



მეურნეობა არის მებაღეობა, საქონლის მოშენება, ფუტკრის და აბრეშუმის კისის გამრავლება, შინაურ ფრინველების მოვლა და გამრავლება, — ბოსტნების გაკეთება, ბალახის თესვა და სხვა.

ბევრი თქვენგანი ცხოვრობს სოფლად; ბევრს აქვს მამული, ბაღები და ბოსტნები და უყვართ კიდევ მეურნეობა. მართლაც საყვარელი საგანია, როცა შენის ხელით გააკეთებ ბოსტანს — გაახარებ შენივე ხელით გაკეთებულ ნამუყენს, დარგავ ყვავილებს და სხვა.

რა კარგია აგრეთვე ფუტკრის გამრავლება; რა სასიამოვნოა, როცა ისინი დილიდანვე იწყებენ ფრენას ზუზუნით შინდორ ველში, — თავლარს მოსაგროვებლად. მერმე რა ერთგულად მუშაობენ. ჩვენ რომ ესე გვემუშავნა, ბედნიერები ვიქნებოდით.

შეხედეთ ახლა შინაურ ფრინველებს: ქათმებს, კრუხებს, თავიანთ წიწილებით, პატარა იხვს და ინდაურს; რა სასიამოვნო სანახავია!



აი, ეზოში ხბორები როგორ დარბიან და ხტუნაობენ, მერმე დედასთან მიდიან. დედა როგორი სიამოვნებით თავს ევლება იმათ, ლოკავს და ეფერება, აშორებს ძაღლებს, კატებს და ბავშვებს

როცა ხბო უკვდება დედას, ის აღარც სკამს, აღარც სვამს რამდენსამე ხანს და თვალები ცრემლით ევსება; —სულ ბლავის—ეძებს თავის შვილს.

საერთოდ მეურნეობა არა-მარტო გლვხ კაცისთვის, არამედ სუყველასთვის სასარგებლო და ამასთანავე სასიამოვნოც არის. ვინც სუფთა ჰაერში ცხოვრობს და მუშაობს, უექველად ჯანსალი იქნება. მაგას რა სჯობია—ადგე დილით ადრე, გახვიდე ბოსტანში ან ბაღში, დაბარო, გათოხნო, გამარგლო შენივე გაცეთებული და დათესილი კვლები. მუშაობის შემდეგ რა გემრიელად მიირთმევ პურს!

მაშ როცა ჩვენს მამულში ვართ ხოლმე, ტყუილად დროს ნუ ვკარგავთ.

ვეცდები ცოტათი გაგაცნოთ მეურნეობა.—ვიმეცადინოთ,—ვიმუშავოთ და ავაყვავოთ ჩვენი ძვირფასი მამული.

ბოსტანი.

საჭიროა ვიცოდეთ ბოსტნისთვის ადგილის არჩევა, მისი შემოღობვა და სასარგებლო ბოსტნეულის გამრავლება.

ბოსტნის ადგილი.

უნდა ავარჩიოთ ბოსტნისთვის ისეთი ადგილი, სადაც წყალი ახლოა, მიწა ფხვიერია და შავი, მზის გული ადგილი. არ უნდა იყოს დაბლობი, სადაც წყალი დგება. წყალი არ უნდა გუბდებოდეს ბოსტანში, უნდა ჰქონდეს გასავეალი. რასაკვირველია ადგილი ჰაობიანი არ უნდა იყოს. ბოსტანს



ესაქიროება მყუდრო ალაგი. მცენარეებს ძლიერი ზრდა უწყევარს.

კარგია, რომ მიწა დახრილი იყოს კოტათი სამხრეთით.

საუკეთესო ადგილის არჩევა ასე უნდა, და ვისაც ასეთი ალაგი არა აქვს, იმისთვის ყველანაირი მსუბუქი მიწა გამოდგება, მხოლოდ არა კაობი და ჩრდილიანი.

უხეირო, თიხიან და ქვიშიან მიწას სასუქი (საქონლისა) გააკეთებს.

ალაგის არჩევის შემდეგ პირველი საქიროებაა ბოსტნის შემოღობვა.

ლ ო ბ ე .

წლობოდ ბოსტნის გაკეთება არ შეიძლება. იმ მასალით უნდა გააკეთოთ ლობე, რომელიც უფრო იაფად დაგიჯდებათ. ზოგან ტყე იაფია და ფიცრის ლობეებს აკეთებენ, ზოგან წნორისა, ზოგან ქვისა, ზოგან მავთულისა და სხვა. აკეთებენ აგრეთვე საუკეთესო კოცხალ ლობეს, ესე იგი—რგავენ ეკლიან ხეებს, „გლედიჩიას,“ რომელსაც სამ რიგად რგავენ ლობის გარშემო, სწორედ, ლარ ქვეშ, ერთმანეთისაგან

ნახევარ არშინის სიშორეზე ამ სახით. ამ გვა-

რი ლობე ას წლობით სძლებს. როცა დარგავენ, ერთი წლის შემდეგ მიწიდან 4—5 გოჯის სიმაღლეზე სხლივენ, მეორე წელს 8—9 გოჯის სიმაღლეზე, მესამე წელს—2 არშინზე. და ლობე მზად არის. მერმე გვერდის გამოშვერილ ტოტებს ჰკრეკავენ. ამ მცენარეს, „გლედიჩიას,“ აქვს მაგარი თესლი, რომელიც ძალიან გვიან ამოდის. ჰგავს ჩვენ ქართულ წითელ ლობიოს.

გლედიჩიას დათესვამდის მოხარშვა უნდა. აადუღეთ წყალი, შიგ ჩაყარეთ თესლი, მაშინაოვე გადმოდგით და დასტო-



ვეთ თესლი იმ წყალში ერთი დღე და ღამე, მერმე მშრალად და დათესეთ კვლებში, სჯობია შემოდგომაზე, ისე რომ სკლად მოგივიდეთ, ორი თესლი ერთად, ერთმანეთისაგან ერთი გოჯის მანძილზე, რიგზე. მეორე ან მესამე წელს ვადარგავენ ხოლმე ღობის გარშემო. მთაში გლედიჩია არ ვამრდგება.

გლედიჩიას ღობე იმით არის კარგი, რომ ძლიერ გძელი ეკალი აქვს; ზოგი ნახევარ არშინის სიგრძეა. ეს ეკალი ჯგუფ-ჯგუფად გამოდის და ძლიერ მაგარია.

ჩვენ ქვეყანაში სხვა ცოცხალ ღობეებსაც აკეთებენ—კუნელის, ფშატის და ნაძვის. კუნელის დარგვა არ ვარგა ბალში, იმიტომ რომ იმისგან ავადმყოფობა გადაედება ხეხილს. მვენებელია მუხის ხეც; იმისგანაც ჩნდება ავადმყოფობა—მუხის პეპელა.

გლედიჩის შემდეგ პირველი ალაგი უნდა ეკუთვნოდეს ფშატს. ამ უკანასკნელს რგავენ ხშირად რიგზე, ბალის გარშემო. ამრავლებენ თესლით და ყლორტებით. ერთი წლის ყლორტს სკრიან 4—5 გოჯის სიგრძეზე და რგავენ ღრმად დაბარულ, მომზადებულ კვლებში. საკმარისია დარჩეს ყლორტზე 1-ან 2 კოკორი. მიწაში მოქცეულ კოკორიდან გამოდის ფესვი ვაზივით; იმას მეორე წელიწადს რგავენ ბალში.

ყლორტებს გაზაფხულიდან ამრავლებენ. ფშატის თესლი კი სჯობია შემოდგომით დაითესოს. მოხარშვა არ სჭირდება.

შეიძლება გააკეთოთ შვინდის ღობეც. ესეც იმნაირად ეთედება, როგორც ფშატისა და იმნაირადვე ამრავლებენ.

გაგლოშვილი,

(შემდეგი იქნება).





განათლება


რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი ნ. დარაშვილის-პიერ).

ა **ე** **ს** **ფ** ,  **ე** **ს**

თათრულად
ბატონი

 **რ** **ს** ,  **ს**  **ე**  **ს**  **ე**

ა **ე**  **ე** **ს**

პურს რა
ედება?

ამ რეზუსის ბოლო ისილეთ მეორე გვერდზე.



ქართული
ზოგრაფიკა

,100'



ქ



”

ზ



ყვ
სა



ს



”

ნ
ე





ზინაარსი

1914 წ. ქუჩნალ „ნაკადულისა“.

მოზრდილთათვის

ლექსები და ზოეუები.

ა კ ა კ ი

* * ლექსი იბ. № 1

ბ. ახოსპირელი.

აღამიანი „ № 6

გ ე ლ ა

დამკენარი ვარდი „ № 1

სურათი „ № 12

ვ. გორგაძე

კლდე და ჩანჩქერი „ № 2

გამოზაფხულდა „ № 3

ილ. გოგია

სკოლის ზარი „ № 4

ი. მჭედლიშვილი

ბავშვები „ № 1

„ (დასასრული) „ № 2

ვაზაფხულის დილაზე „ № 6

წყაროვ! „ № 7



შემოდგომის ღრუბლები რ. № 10

დავ. ელიოზიშვილი

შზის სხივები " № 4
 ტოროლა " № 5
 ვლახის სიმღერა " № 7
 წყარო " № 11
 არწივი " № 12

დ. თურდოსპირელი

ტოროლა (სადა დეკსი) " № 8
 განთიადი. " № 9

ი. იმედაშვილი

ძროხები და მგელი " № 7

დ. კასრაძე

ნათელა (ხაფხური ზღაპარი დეკსად) " № 3
 " " " " (შემდეგი) " № 4
 " " " " (შემდეგი) " № 5
 " " " " (დასასრული) " № 6

გ. ლეონიძე

შემოდგომა " № 10

შიო მღვიმელი

მეწყინა " № 8

ი. სიხარულიძე

ჩიკვი და ოქრო (იგავ-არაკი დეკსად) " № 5
 დილის სიო " № 8
 კაკის სევდა " № 10
 წვიმა " № 11
 ალილო " № 12

ი. ხუციშვილი

ენძელა " № 4



მოთხოვნები ორიგინალური და თარგმნილი,

ბ. ახოსპირელი

მოკარნახე დიაკვნად „ № 3

შუშანიკა ასათიანი

თუთიყუში პოლლი (თარგმანი) „ № 2

ელ. ანტონოვსკისა

ხველის წამალი. — (მოთხრობა გრაჰჰამის თარგ.) „ № 1

ბაბო ბერელაშვილი

საშინელი შემთხვევა (ფანჯგულით) „ № 5

მ. გარიყული

კერა ირ გაუცივდათ „ № 2

ჯვარი, ჯვარი „ № 4

ალ. გველესიანი

რად იშლება ია ასე ადრე (რუსულით) „ № 5

ნ. დედებულიძე

კალია, — (ზღაპარი ევადის თარგმანი) „ № 3

ირ. ევდოშვილი

პირველი ყვავილი „ № 4

ჩემი დღიური „ № 5

„ „ (შემდეგი) „ № 10

დ. ვედრებისელი

სიხარული „ № 12

ნინო ვაჩნაძე

პატიოსანი სიტყვა (თარგმანი) „ № 11

ვ. თამროშვილი

ბიძია აბროს სტუმრები „ № 1

მოგონება „ № 3

ლეო იმნაძე

წმინდა ბასილი	„	№ 2
ღელა	„	№ 10

დავ. კილოსანიძე

დასჯილი მისწრაფება	„	№ 1
გლები	„	№ 2
პროზა და პოეზია (იგაუ-არაკი)	„	№ 3
მოქიდავე	„	№ 8
დიდ ქურუმის მწერალი, — (მოთხრობა) ეგვიპტელთა ცხოვრებიდან	„	№ 11
„ (დასასრული)	„	№ 12

თამარ კარბელაშვილი

უსინათლო (თარგმანი)	„	№ 1
ღვთისმშობელი და ავაზაკები, — (დეკუნდა თარგ.)	„	№ 12

კორდელი

ბრძენთა წყარო ლეგენდა სელმა ლაგერლეთი- სა (თარგმანი)	„	№ 2
---	---	-----

გ. ლ—ძე.

მინიონა მოთხრობა ფონ როდენისა (თარგმ)	„	№ 5
„ „ „ „ (შემდეგი)	„	№ 6
„ „ „ „ (შემდეგი)	„	№ 7
„ „ „ „ (შემდეგი)	„	№ 8
„ „ „ „ (შემდეგი)	„	№ 9
„ „ „ „ (შემდეგი)	„	№ 10
„ „ „ „ (შემდეგი)	„	№ 11

გიგო ნათაძე

ვარდის აკვანი	„	№ 12
-------------------------	---	------

იტა ნაკაშიძე

არწივები (თარგმანი)	„	№ 4
-------------------------------	---	-----

მ. ნიკოშვილი

სემონა იხ. № 11

ნ. ნაკაშიძე

ძვირფასი ნადირი (თარგმანი) " № 6

" " " (შემდეგი) " № 7

" " " (შემდეგი) " № 8

" " " (დასასრული) " № 9

ა. ტატიშვილი

ტიტო " № 7

ლევო ქიაჩლი

სიკოს ხვედრი ოქრო " № 5

მ. დია ლამბაშიძე

ოქროს საწმისი (ფრანგულით) " № 7

ცქვიტი

ყვავილების ჩივილი " № 8

შემოდგომის საღამოს " № 9

ზ ი ე ს ე ბ ი.

ნ. შიუკაშვილი

ჯაშუში პიესა ორ მოქმედებად " № 5

" " " " (დასასრული) " № 6

გ. ლ—ძე

ამერიკელი პიესა ორ მოქმედებად (თარგმ.) " № 4

იგბე-არბაკები.

ალ. შანშიაშვილი

რეგვენი ძალი " № 9

ხალხური ზღაპრები

ნიკ. დარაშვილი

საოცარი ვაშლი	იხ. № 8
„ „ (დასასრული)	„ № 9

ანნა კაპანაძე

შკაპრი მეფე	„ № 11
-----------------------	--------

გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება.

ივ. გომართელი

კოტე ყიფიანი	„ № 1
ჩვენი პოეტები: ვაეა-დ შაველა	„ № 3
„ „ გრიგოლ ორბელიანი	„ № 11
„ „ ვახტანგ ორბელიანი	„ № 12

ალ. მირიანაშვილი

ანტონ ფურცელაძე	„ № 2
---------------------------	-------

შ. დ.

კოტე მესხი	„ № 5
----------------------	-------

ვახტანგ კოტეტიშვილი

ილია ჭავჭავაძე	„ № 9
„ „ (დასასრული)	„ № 10

ილია ნაკაშიძე

მარიამ ივანეს ასული დემურია	„ № 11
---------------------------------------	--------

ისტორიის და ეტიმოლოგიის

ალ. მიქაბერიძე

ტროადის ომი	„ № 2
„ „	„ № 3



„ „ იხ. № 4

ი. ანთაძე

- გადავარჩინოთ ძველი ნაშთები „ № 4
- საქართველოს შესანიშნავი ადგილები ბეთანია. „ № 6
- „ „ ჯვ.რის მონატერი „ № 10

ირაკლი

- ევროპიელ ხალხთა ომი „ № 8

სამეცნიერო წერილები

ივ. როსტომაშვილი

- ელექტრონის სასწაულები „ № 1
- ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან:
- „ „ „ წერილი პირველი „ № 7
- „ „ „ წერ. 2-რე და 3-მე. „ № 9
- „ „ „ წერ. მეოთხე. „ № 10
- „ „ „ წერ. მეხუთე. „ № 11
- „ „ „ წერ. მეექვსე. „ № 12

გ. ლ—ძე

- ფრთოსანი ფეიქრები (თარგმანი) „ № 2

ალ. ე.

- ჰაერის დამორჩილება „ № 5

ვახტანგ კოტეტიშვილი

- მზის დაბნელება რვა აგვისტოს „ № 8

ივანე ელიაშვილი

- ჯიხვი „ № 12

ქურონალ გასეთეაიდან

- მცურავი ქალაქი „ № 2



სსვა და სსვა აშბები

სამწუხარო აშბავი. იოსებისა

ნაკადულის ფონტა.

ნაშთები

წერილი რედაქციის მიმართ

„ „ „ „

ს უ რ ა თ ე კ ბ ი .



ზამთარი სურ. იუ, იუ კლევერისა № 1

შხედარი № 2

ნუ თუ არ დაბრუნდება № 3

ყრმა იესო № 4

შწყემსი № 5

მამას რა დარჩენია, № 6

მტირალა № 7

მედაფე № 8

ძუნწი № 9

შენახშირეები № 10

ღეთისმშობელი № 11

ღეთისმშობელი სურ. მურილიოსი № 12



ყველა ნომერში არის გასართობი: შარადები, თვეების სიმღერა, გამკრიაბი ინდოელი, გამოცანები, რებუსები და სხვა.





ეპიდემიური საზოგადოებრივი, სამედიცინო-საქონლური
ტერაპიული კაზეთზე

„ახალი სურვილი“

გაზეთი სამხედრო ცენზურის ნებართვით გამოდის და ამიტომ უზრუნველყოფილია შეტერება — დაზურვისაგან.

გაზეთი მიზნად ისახავს ხალხის ინტერესების დაცვას და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საერთაშორისო ომს. გაზეთში იბეჭდება მოკლულ-დაჭრილ აფიცერ — ჯარისკაცების სია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უკმეების შემდეგი დღეებისა და ღირს:

მთელი წლით — 7 მან., ნახევარი წლით — 4 მან., სამი თვით — 2 მან. და 50 კაპ.; ერთი თვით თბილისში — 80 კაპ., თბილისის გარედ — 90 კ., ცალკე ნომერი ყველგან შიური და სოფლად გარედ ორჯერ მეტი.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა ყველგან წინდაწინ უნდა გადაიხადონ. ნისიათ გაზეთი არავის დაეთმობა

ვთხოვთ მკითხველებს დაუყოვნებლივ გვაცნობონ, თუ რომელიმე აგენტი ან დამტარებელი გაზეთს ზედ მეტ ფასში გაჰყიდის

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი — 20 კაპ., მეოთხე გვერდზე — 10 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე — 3 მანეთი, ხოლო ორის შემდეგ — 4 მანეთი.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდელ სარედაქციო მასალას, რედაქცია არ ისახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

კანტორის ადრესი: თბილისი, ორბელიანის ქუჩა, № 36.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიხადონ: Тифлисъ, Орбелиановская ул., № 36, Георгию Григорьевичу Бежияшвили. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციის კანტორაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

გაზეთის აბონტებმა პირდაპირი დამოკიდებულება უნდა აქონონ კანტორა „განთიადთან“. მიხეილის პრ. № 18).

1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ



„ნ ა კ ა დ უ ლ“

წელიწადი მთავრდება

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიეყვამთ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

36 სურათის ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1915 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: დასურათებული „ხალხური ზღაპრები“ — (საშუაგრაფიკო პუბლიკაცია) იოსებ ყიფშიძის მიერ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა — 5 მ. ნახევარ წლით — 3 მან., ცალ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი — 3 მან., მოზრდილთათვის **12** წიგნი — 3 მან.

ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით 7 მ. ნახევარი წლით 4 მ.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელი — 40 კ. შეიძლება მარკებით გამოგზავნა.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, ქუთაისში — ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიისში** — ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან და კ. თელიასთან. **ბათუმში** — ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** — ლანჩხუთში — ლეო იმნაძესთან. **თელავში** — ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ნინო გელაშვილთან. **გორში** — ნინო ლომოურთან და ქეთევან ჯაფარიშვილთან. **ქიათურაში** — ივანე გომელაურთან. **ერევანში** — კ. ოდიშარიასთან. **ალექსანდროპოლში** — ს. შატერაშვილთან. **ნახიჩევანში** — სამსონ მარჯანიშვილთან. **ხონში** — მ. ი. ჯავჭანიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.
გამომცემელი თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.